



ისლამი და რელიგიური ტრანსფორმაცია  
აჭარაში

თომას ლაილსი

ECMI -ის სამუშაო მოხსენება # 57  
თებერვალი 2012



უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) არის არაკომერციული, არასამთავრობო ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნებულ იქნა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მთავრობების მიერ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი დაარსდა ქ. ფლენსბუგში, გერმანიისა და დანიის მოსაზღვრე რეგიონის შუა გულში; რათა ყურადღება მიექცრო ამ ტერიტორიაზე არსებულ უმცირესობებისა და უმრავლესობის მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმატებულ მაგალითზე.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს მრავალდისციპლინარულ კვლევას იმ საკითხებზე, რომელიც ეხება უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობებს, ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. ამასთანავე, წვლილი შეიტანოს ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის იმ ნაწილში, სადაც ადგილი აქვს ეთნო-კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

ECMI-ის კვლევით ნაშრომზე მუშაობენ ECMI-ს თანამშრომლები და ცენტრის მიერ მოწვეული მკვლევარები. ECMI-ის მიერ გამოცემულ კვლევებში გამოხატულ აზრებზე პასუხისმგებელია ნაშრომის ავტორი.

### ECMI მოხსენება

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)

დირექტორი: დოქ. ტოვე ჰ. მალოი

© ECMI 2012



# ისლამი და რელიგიური ტრანსფორმაცია აჭარაში

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, რომელიც მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, თურქეთის საზღვრის გასწვრივ, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ადგილი ჰქონდა განსაკუთრებულ რელიგიურ ტრანსფორმაციას. სახელდობრ, აჭარის, ტრადიციულად, მუსლიმი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა საკმაოდ მოკლე დროში მიიღო ქრისტიანობა. მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისათვის ამ რეგიონის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მუსლიმი იყო, ყოველ შემთხვევაში ასე ითვლებოდა სამოცდაათწლიანი საბჭოთა ათეიზმის შემდეგ, ახალი მონაცემებით აჭარის მოსახლეობის 65% ქრისტიანია, 30% კი მუსლიმი. ქვემო ქართლის რეგიონსა და პანკისში მცხოვრები მუსლიმებისგან განსხვავებით, რომლებიც შესაბამისად ეთნიკური აზერბაიჯანელები და ქისტები არიან, აჭარაში მცხოვრები მუსლიმები ეთნიკური ქართველები არიან.

თომას ლაილსი, თებერვალი 2012  
ECMI -ის სამუშაო მოხსენება #57

## I. შესავალი

1990-იანი წლებიდან აჭარაში ისლამურმა იდენტობამ თანდათან შესუსტება დაიწყო. ამავე დროს, აჭარის დედაქალაქ ბათუმსა და დასავლეთით მდებარე დაბლობ რეგიონებში გაძლიერდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ზეგავლენა. დღესდღეობით ისლამს ჯერ კიდევ მყარად აქვს ფესვები გადგმული რესპუბლიკის აღმოსავლეთ მთაგორიან რაიონებში (ზემო აჭარაში), განსაკუთრებით ხულოს რაიონში, შედარებით ნაკლებად - შუახევისა და ქედას რაიონის სოფლებში. სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ზეგავლენა თანდათან ძლიერდება ზემო აჭარაშიც და ქრისტიანული სარწმუნოების მიღება აქაც

თანდათან ჩვეულებრივი მოვლენა ხდება. ამავე დროს, აღნიშნული რეგიონის ზოგიერთ ნაწილში მუსლიმი მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ დისკრიმინაციის გამო, რომელსაც ისინი განიცდიან სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც არ აფინანსებს ადგილობრივ ისლამურ ორგანიზაციებს და ოფიციალური რეგისტრაციის საქმეში დაბრკოლებებს უქმნის. 2011 წლის მაისში საქართველოს მუსლიმთა ახალი სამმართველოს შექმნამ და 2011 წლის ივლისში რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების რეგისტრაციის შესახებ ახალი კანონის მიღებამ შესაძლოა შეამციროს ეს უკმაყოფილება. თუმცა, ჯერ კიდევ ნაადრევია ზემო აჭარაში აღნიშნული კანონების ეფექტურობაზე საუბარი. ამ სამუშაო მოხსენების მიზანია შეაფასოს ზემო აჭარაში ამჟამად არსებული



რელიგიური სიტუაცია. მასში განხილული იქნება სამი თემა. პირველ რიგში, მოხდება ამჟამინდელი სიტუაციის კონტექსტში იმ სტრუქტურული ფაქტორების ანალიზი, რომლებმაც ბიძგი მისცა რელიგიური ტრანსფორმაციისა და გაქრისტიანების პროცესს. განსაკუთრებით თვალშისაცემია კავშირი ქრისტიანობას, ქართულ ნაციონალიზმსა და სოციალურ მობილურობას შორის. ერთის მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართული ნაციონალური იდენტობის თანამედროვე კონცეფცია თითქმის მთლიანად უკავშირდება ქრისტიანობას. ამავე დროს, ახალგაზრდა აჭარლები განათლების მისაღებად თუ ეკონომიკური მიზნებით ხშირად მიემგზავრებიან სხვა ქალაქებსა თუ რეგიონებში, სადაც მთავარი რელიგია ქრისტიანობაა. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების ფონზე, როგორც ეს ქვემოთ არის განხილული, ბევრი აჭარელი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, იცვლის საკუთარ რელიგიურ იდენტობას უმთავრესად იმ მიზნით, რომ ქრისტიანულმა საზოგადოებამ ისინი კანონიერ წევრებად მიიღოს.

მეორეს მხრივ, მოხსენებაში განხილულია ადგილობრივი ინსტიტუტების ზეგავლენა ზემო აჭარაში არსებულ რელიგიურ სიტუაციაზე. ამგვარი ინსტიტუტები იყოფა სამ კატეგორიად: 1) ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და მისი საგანმანათლებლო დაწესებულებები; 2) საჯარო საშუალო სკოლები; და 3) ადგილობრივი მეჩეთები, მუსლიმური რელიგიური სკოლები, ანუ *მადრასაჰები* და დამოუკიდებელი ისლამური ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადასვლის პროცესი, ერთი შეხედვით არც თუ ისე სწრაფად მიმდინარეობს, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აგრძელებს ზემო აჭარაში ფეხის მოკიდებას ახალი ეკლესიების, რელიგიური სკოლების და უნივერსიტეტების გახსნის გზით. ამავდროულად, საჯარო საშუალო სკოლები, რომლებიც ოფიციალურად ნეიტრალურნი არიან რელიგიური თვალსაზრისით, ისტორიის სწავლებას ახორციელებენ მიკერძოებულად მართლმადიდებლური

ეკლესიის სასარგებლოდ.<sup>1</sup> მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ზემო აჭარაში, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც ისლამს უფრო მეტი დასაყრდენი აქვს, გაიზარდა მეჩეთების, *მადრასაჰების* და მუსლიმური ორგანიზაციების რაოდენობა. ამგვარად, სხვადასხვა ინსტიტუტები, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიური კონცეფციის ჩამოყალიბებაზე.

და ბოლოს, ეს სამუშაო მოხსენება ანალიზს უკეთებს არსებულ მუსლიმურ პრობლემებს და ასევე, რელიგიასთან დაკავშირებულ სახელმწიფო პოლიტიკას ზემო აჭარაში. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიათა შორის ურთიერთობა აჭარაში საკმაოდ კარგია, ბევრი მუსლიმი ლიდერი და რიგითი მუსლიმი უკმაყოფილებას გამოხატავს სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციასთან დაკავშირებით. სახელდობრ, მათ სჯერათ, რომ სახელმწიფოს მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მფარველობამ და მართლმადიდებლური სულისკვეთებით გამსჭვალულ ნაციონალისტურ მოწოდებებში მისთვის წამყვანი როლის მინიჭებამ, შექმნა იმგვარი სოციალური გარემო, რომელშიც ქართველი მუსლიმები მიჩნეულნი არიან ქართველი ერის არაკანონიერ ნაწილად. გარდა ამისა, ბევრი მუსლიმი ლიდერი უკმაყოფილებას გამოხატავს იმის გამო, რომ სახელმწიფო არ ზრუნავს მუსლიმური ორგანიზაციების ეფექტურ ფუნქციონირებაზე და არ უწევს მათ ფინანსურ დახმარებას, ასევე, იმის გამო, რომ 2010 წელს ხულოს რაიონში ქონება ჩამოერთვა მუსლიმურ საქველმოქმედო ორგანიზაციას.<sup>2</sup>

<sup>1</sup> ეს ნიშნავს იმას, რომ ფართოდ არის განხილული ქრისტიანობის ისტორია საქართველოში, რაც აუცილებელია, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის ისტორიულ კავშირს მართლმადიდებლობასთან. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყურადღება თითქმის არ ექცევა აჭარაში ისლამის ისტორიას.

<sup>2</sup> ეს ინციდენტი მოხდა მუსლიმური საქველმოქმედო ორგანიზაციის მადლი-2005 -ის დაქვემდებარებაში არსებულ რამდენიმე რელიგიურ სკოლაში ხულოს რაიონში. ამ ორგანიზაციის მიზანია უზრუნველყოს უფასო საცხოვრებელი, საკვები და რელიგიური



ცდილობს რა, დაანქაროს საქართველოს ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სივრცეში, საქართველოს მთავრობამ ახლახანს მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილებები რელიგიურ უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებით, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ინტეგრაციას დანარჩენ საზოგადოებაში.<sup>3</sup> დოკუმენტში გაანალიზებულია ეს პოლიტიკა, ასევე, მის მიმართ დამოკიდებულება აჭარაში და დღეისათვის მიღებული რეალური შედეგები. სამუშაო მოხსენების ბოლოს მოცემულია მოკლე რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის, იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს რელიგიური პრობლემები ზემო აჭარაში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ინკლზიური რელიგიური პოლიტიკის ჩამოყალიბება.

## II. მეთოდოლოგია

ამ სამუშაო მოხსენების მოსამზადებელი კვლევები მიმდინარეობდა 2011 წლის სექტემბერ-დეკემბერში. ისტორიასა და ზოგად ინფორმაციასთან დაკავშირებულ ნაწილებში გამოყენებული იქნა სხვადასხვა მეორადი წყაროები, მათ შორის, აკადემიური

განათლება ღარიბი აჭარელი ახალგაზრდებისათვის. მთავრობის ჩარევა დაკავშირებული იყო გადასახადებთან და ორგანიზაციის რეგისტრაციასთან, თუმცა 2010 წლის შემდეგ ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა.

<sup>3</sup> მთავრობის მიერ გადადგმული ერთერთი ნაბიჯი ამ მიმართულებით არის საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ არ არის ოფიციალური სახელმწიფო უწყება, დაარსდა მთავრობის ხელშეწყობით. გარდა ამისა, 2011 წლის ივლისში მთავრობის დახმარებით, მიღებული იქნა ახალი კანონი რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების რეგისტრაციის შესახებ, რომელიც უფლებას აძლევს არამართლმადიდებლურ რელიგიურ ჯგუფებს “რომლებიც ისტორიულად არიან დაკავშირებული საქართველოსთან” დარეგისტრირდნენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები. საქართველოს მუსლიმთა სამმართველო არის ერთერთი იმ რამდენიმე რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებიდან, რომელიც უკვე დარეგისტრირდა ამ კანონის შესაბამისად.

პუბლიკაციები და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები. ასევე, აჭარაში ორჯერ ჩატარდა სერიოზული საველე სამუშაოები (2011 წლის 7 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე და 4-13 დეკემბერს), პირველ რიგში ხულოსა და შუახევის რაიონებში, ასევე, რეგიონულ ცენტრში, ბათუმში.

საველე სამუშაოების დროს გამოყენებული იყო ხარისხობრივად მაღალი მეთოდოლოგია (მაგ.: სტრუქტურული და არასტრუქტურული ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობა). ტარდებოდა ინტერვიუები ცნობილ მუსლიმ რელიგიურ ლიდერებთან, რომელთა შორის იყვნენ აჭარის რეგიონის მუფთი და შუახევისა და ხულოს რაიონის მუფთები. ამასთან, ხულოს რაიონის იმამების ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობა მიმდინარეობდა რაიონულ მუფტიატში, რომელიც მდებარეობს რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, ხულოში. კვლევის პროგრამაში შედიოდა აჭარაში არსებულ ისლამურ ინსტიტუტებში სტუმრობა, მათ შორის ბათუმის, ხულოს, დუაძეების, დიდაჭარისა და რიკეთის მეჩეთებში, ასევე, ხულოში არსებულ ორ მადრასაში.

იმის გასარკვევად, თუ როგორ ისწავლება რელიგია საჯარო სკოლებში, ხულოს, დიდაჭარისა და რიკეთის საშუალო სკოლების მასწავლებლების მონაწილეობით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები და ინტერვიუები. კვლევის პროცესში მკვლევარები ასევე ესტუმრნენ მთელ რიგ მართლმადიდებლურ ინსტიტუტებს, მათ შორის წმინდა მარიამის ხარების ეკლესიას ხულოში, ხულოს მართლმადიდებლური ეკლესიის საშუალო სკოლას და ტბელ აბუსერიძის სახელმწიფო უნივერსიტეტს ხინაურში (შუახევის რაიონი). ამ ინსტიტუტებში გაიმართა ინტერვიუები მღვდლებთან, მასწავლებლებთან და პროფესორებთან. ტბელ აბუსერიძის უნივერსიტეტში კონსულტაცია გაეწია რამდენიმე სტუდენტს.

და ბოლოს, ჩატარდა არაერთი ინტერვიუ მთავრობის მაღალჩინოსნებთან და რელიგიის ექსპერტებთან ბათუმსა და თბილისში, რომლებიც კარგად იცნობენ რელიგიურ სიტუაციას აჭარაში და ამგვარად, შეეძლოთ არა მხოლოდ დაედასტურებინათ ECMI-ს საველე კვლევის შედეგები რეგიონში, არამედ კიდევ უფრო მეტი ინფორმაცია



მიწოდებისათვის საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით.

### III. ზოგადი ინფორმაცია

იმის გამო, რომ აჭარა და მთლიანად საქართველო წარმოადგენდა სასაზღვრო რეგიონს სხვადასხვა სუზერენი იმპერიების დროს, მისი ისტორია სხვადასხვა რელიგიურ ტრადიციებთან მიმართებაში მეტად რთულია. გადმოცემით, საქართველოში ქრისტიანობამ გავრცელება დაიწყო რომის იმპერიის დროს, მესამე და მეოთხე საუკუნეებში, მოციქულების ანდრიასა და სიმონ კანანელის, ასევე, ჩვ. წელთაღრიცხვით 328 წლიდან წმ. ნინოს ძალისხმევით. ქრისტიანული რელიგიის მიღებამ განამტკიცა საქართველოს მონარქიის კავშირი რომთან, ამასთან, დაიმსხვრა მისი გავლენიანი და მდიდარი წარმართული სარწმუნოება. პროვინციულ ქალაქებში თანდათან მომრავლდა ეპარქიები; მეხუთე საუკუნის შუა წლებისათვის უკვე არსებობდა ოცდაათი ეპარქია.<sup>4</sup> მიუხედავად ამისა, საქართველო კიდევ რამდენიმე საუკუნის მანძილზე კვლავაც რჩებოდა პოლიტიკურად დეცენტრალიზებულ სახელმწიფოდ. პოლიტიკური ცენტრალიზაციის პროცესს ხშირად ხელს უშლიდნენ ადგილობრივი ფეოდალები,<sup>5</sup> ხოლო, რეგიონში ბიზანტიისა და სასანიდური (სპარსული) იმპერიების ჰეგემონიის მონაცვლეობის პირობებში საქართველოს გაერთიანების შესაძლებლობა ფანტაზიად რჩებოდა.<sup>6</sup>

<sup>4</sup> Ronald G. Suny, *The Making of the Georgian Nation*, Indiana University Press, Bloomington (1994), p. 21.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 20

<sup>6</sup> შუა საუკუნეების პატარა სამეფოები, რომლებიც მდებარეობდა იქ, სადაც ახლანდელი საქართველოა, სხვადასხვა გზით უმკლავდებოდნენ უცხოურ სუზერენტა ზეგავლენას. ხშირად ეს ხდებოდა რელიგიური ელემენტებით. ლაზიკის სამეფომ, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდა დღევანდელი დასავლეთ საქართველო, ქრისტიანობა უარყო მე-5 საუკუნის შუაწლებიდან მე-6 საუკუნის დასაწყისამდე, მაშინ, როცა ის მოექცა სპარსეთის ჰეგემონიის ქვეშ, სადაც იმ დროს ბატონობდნენ ზოროასტრიზმის მიმდევარი სასანიდები. 522 წელს ლაზმა მეფეებმა დახმარებისათვის ბიზანტიას მიმართეს, ამ კავშირის განმტკიცებას კი ქრისტიანობის კვლავ მიღებით აპირებდნენ.

იმპერიული ჰეგემონიის მონაცვლეობა საქართველოში რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა, რომლის დროსაც ბიზანტიელი და არაბი დამპყრობლები ერთმანეთს ეცილებოდნენ სამხრეთ კავკასიის უდიდეს ნაწილზე კონტროლის მოპოვებაში. მე-12 - მე-13 საუკუნეებში საქართველოს გაერთიანება მიუთითებდა მისი ძლევამოსილების ზრდაზე რეგიონში და ამავე დროს, იქ ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის გაძლიერებასა და სწრაფ განვითარებაზე.<sup>7</sup> თუმცა, 1453 წელს ოტომანი თურქების მიერ საქართველოს ყველაზე ძლიერი ქრისტიანი მოკავშირის, ბიზანტიის იმპერიის დაშლამ ბოლო მოუღო საქართველოს ზეგავლენას რეგიონში. მალე ოტომანებმა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყეს სამხედრო თავდასხმები და საბოლოოდ, მე-17 საუკუნეში განახორციელეს სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის ანექსია.<sup>8</sup>

ოტომანთა ბატონობის პერიოდში აჭარამ განიცადა ფართო რელიგიური ტრანსფორმაცია მართლმადიდებლური ქრისტიანობიდან ისლამზე. მიუხედავად ამ პერიოდის შესახებ არსებული მწირი მონაცემებისა, ცნობილია, რომ სარწმუნოების შეცვლის პროცესი ხდებოდა სხვადასხვა დონეზე სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით. სავარაუდოდ, აჭარელი ფეოდალების უმრავლესობამ ოტომანთა ანექსიის შემდეგ ისლამი სწრაფად მიიღო, რადგან იმპერიის ჰეგემონურ რელიგიაზე გადასვლა, ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების შენარჩუნების საშუალებით იძლეოდა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის რამდენადმე გახანგრძლივების შესაძლებლობას. გარდა ამისა, სარწმუნოების შეცვლისათვის სტიმულს იძლეოდა ოტომანთა დაბალი საგადასახადო განაკვეთი იმპერიის

დღევანდელ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე იბერიის სამეფომ სასანიდების მმართველობის დროსაც შეინარჩუნა ქრისტიანობა. იბერიის მეფეები ქრისტიანობას იყენებდნენ ბიზანტიის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. Oxford University Press (1994), p. 282.

<sup>7</sup> Suny, op cit, Ref 5, p. 38.

<sup>8</sup> ნუგზარ მგელაძე და კევენ ტუიტი, "Ajarians," in *Encyclopedia of World Cultures* (1996),



მოსახლეობის მუსლიმური სეგმენტისათვის.<sup>9</sup> მეორეს მხრივ, აჭარის გლეხი მოსახლეობის უმრავლესობა სარწმუნოებას დიდი ხნის განმავლობაში ინარჩუნებდა და ისლამი რამდენიმე თაობის შემდეგ მიიღო. გლეხებისათვის არ არსებობდა არანაირი ხელშესახები წამახალისებელი ფაქტორი სარწმუნოების შესაცვლელად, ყოველ შემთხვევაში თავდაპირველად, ხოლო, ოტომანთა კულტურა და ადმინისტრაციული სისტემა აჭარაში მე-17 - მე-18 საუკუნეებში შედარებით სუსტი იყო.<sup>10</sup>

მიუხედავად ამისა, მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის ისლამმა შეაღწია აჭარის მოსახლეობის უდიდეს ნაწილში. დაახლოებით ამავე პერიოდში ოტომანმა დამპყრობლებმა რეგიონის განხილვა სტრატეგიული თვალსაზრისით დაიწყეს. მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის გაფართოვებამ კავკასიაში და 1828-29 წლებში რუსეთ-თურქეთის ომმა უკარნახა სტამბოლს გაეძლიერებინა თავისი ზეგავლენა აჭარაში. აჭარის ელიტის წარმომადგენლებმა, რომლებსაც ზურგს სტამბოლის მაღალჩინოსნები უმაგრებდნენ, რეგიონში რუსეთის ექსპანსიისთვის წინააღმდეგობის გაწევა დაიწყეს და უარყვეს მოკავშირეობის შესახებ რუსეთის შეთავაზება. ურთიერთობა გართულდა ასევე მუსლიმ აჭარლებსა და მიმდებარე რეგიონებში მცხოვრებ ქრისტიან ქართველებს შორის და მათ ერთმანეთის ტერიტორიებზე თავდასხმები და სამხედრო შეტევები დაიწყეს. მეორადი წყაროების მიხედვით, ამ ყველაფერს თან ახლდა ისლამური იდენტობის გაძლიერება აჭარის მოსახლეობის ელიტარულ ფენაში.<sup>11</sup>

1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში, თურქეთის დამარცხების შემდეგ, აჭარა გადაეცა რუსეთის იმპერიას. რუსეთის სუზერენობის ქვეშ აჭარის ელიტარული მოსახლეობის მიერ გარკვეული პრივილეგიების პოტენციურად დაკარგვის საფრთხე, ასევე, სტამბოლის ფინანსურად

მიმზიდველი შეთავაზება თურქეთში აჭარლების განსახლებასთან დაკავშირებით, უბიძგებდა მათ თურქეთში ემიგრაციისკენ.<sup>12</sup> ამავდროულად, რუსი მაღალჩინოსნები ცდილობდნენ ნაწილობრივ შეეცვალათ აჭარაში დემოგრაფიული სიტუაცია და ხელს უწყობდნენ იქ ქრისტიანების მიგრაციას. თუმცა, საერთო ჯამში, რუსეთის მმართველობას არ მოჰყოლია აჭარელთა უმრავლესობის მხრიდან დიდი მცდელობა, შეეცვალათ რელიგიური მრწამსი.<sup>13</sup> რუსი მაღალჩინოსნები ოფიციალურად ტოლერანტობას ამჟღავნებდნენ მუსლიმების მიმართ, ამასთან, ოტომანთა საგადასახადო სისტემა კვლავ ძალაში რჩებოდა.<sup>14</sup> ყველაზე მეტად თვალშისაცემი ცვლილება ალბათ იყო ის, რომ აჭარაში დარჩენილი ელიტარული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც შეინარჩუნა ტრადიციული ისლამური სარწმუნოება, ადაპტაციას ახდენდა ახალ იმპერიულ რუსულ ადმინისტრაციასთან და ბევრ შემთხვევაში მათში ქართული ნაციონალიზმის გრძნობის გაღვივება ხდებოდა.<sup>15</sup>

<sup>12</sup> იქვე 255-56

<sup>13</sup> გიორგი სანიკიძე და ედვარდ ვ. ვოლკერი; George Sanikidze and Edward W. Walker, "Islam and Islamic Practices in Georgia," BPS Working Paper Series, University of California, Berkeley (2004), p. 4.

<sup>14</sup> ცარისტული ხელისუფლების ტოლერანტობა ისლამის მიმართ არ ეყრდნობა ალტრუისტულ საფუძველს. უფრო მეტად ეს არის პრაგმატული პოლიტიკა, რომლის მიზანსაც წარმოადგენს რეგიონში რელიგიურ საქმიანობაზე ნელ-ნელა საკუთარი კონტროლის გაძლიერება. ამავდროულად, შეზღუდული იქნა ისლამური განათლების საზღვარგარეთ მიღების შესაძლებლობა და იმპერიულმა ხელისუფლებამ გამოსცა მთელი რიგი ინსტრუქციებისა, რომლებიც ეხებოდა მუსლიმურ ქორწილებს, დაკრძალვის ცერემონიალებს და რელიგიურ დღესასწაულებს. ბარამიძე, op cit, Ref.10, გვ.526.

<sup>15</sup> ყოფილი აჭარელი გაფლენიანი პირის, ასლან აბაშიძის ნათესავები წარმოადგენენ ამის მაგალითს. აბაშიძე წარმომავლობით ზემო აჭარის მუსლიმური დიდგვაროვანი კლანის წარმომადგენელია, რომლის წევრიც კიდევ რამდენიმე გამოჩენილი რელიგიური ლიდერი იყო. აბაშიძის ბაბუა მემედ ფაშა აბაშიძე, იყო მორწმუნე მუსლიმი და გამოჩენილი ფიგურა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში I მსოფლიო ომის შემდეგ. International Crisis Group, "Saakashvili's Ajara Success: Repeatable

<sup>9</sup> რუსლან ბარამიძე, *ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში*, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ბათუმი (2010), გვ. 525

<sup>10</sup> ინტერვიუ რელიგიის ექსპერტ ლევან აბაშიძესთან, 29 ნოემბერი 2011 წელი

<sup>11</sup> Mathijs Pelkmans, "Religion, Nation and State in Georgia: Christian Expansion in Muslim Ajara," in *Journal of Muslim Minority Affairs*, Vol. 22, No. 2 (2002), p. 254.



ბოლშევიკების ხელისუფლების სათავეში მოსვლამ და 1921 წელს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს შეყვანამ უფრო დიდი ზეგავლენა მოახდინა რელიგიურ სიტუაციაზე აჭარაში. არ არის გასაკვირი, რომ საბჭოთა ეთნო-ტერიტორიული დაყოფა შესაძლებელს გახდიდა მუსლიმთა იდენტობის შენარჩუნებას აჭარაში, მით უმეტეს, რომ მას მიენიჭა საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში) მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი სუნიტური ისლამის მიმდევარი იყო.<sup>16</sup> პრაქტიკულად, ისეთი ფაქტორების კომბინაციამ, როგორცაა თავსმოხვეული იხოლაცია, ადგილობრივ კადრებში ანტიისლამური ტენდენციები და საბჭოთა ეთნიკურ-ნაციონალისტური პოლიტიკა, ისლამს არამყარი საფუძველი შეუქმნა აჭარაში. თურქეთთან საზღვრის ჩაკეტვამ და სამგზავრო წესების გამკაცრებამ მნიშვნელოვან იხოლაციაში მოაქცია ზემო აჭარის მუსლიმი მოსახლეობა.<sup>17</sup>

ამავე დროს, ისლამზე ზეგავლენას ახდენდა საბჭოთა ათეისტური პოლიტიკა, ასევე, რეგიონული და ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების ორიენტაცია. მიუხედავად იმისა, რომ 20-იან წლებში მეჩეთები და სასულიერო მმართველი

Elsewhere in Georgia?”, ICG Europe Briefing, Tbilisi/Brussels, 18 August 2004, p. 3.

<sup>16</sup> ასსრ სტატუსს ყოველთვის ანიჭებდნენ იმ რეგიონებს, სადაც ეთნიკური შემადგენლობა განსხვავდებოდა შესაბამისი რესპუბლიკის ტიტულოვანი ეთნოსისაგან. გამონაკლისს წარმოადგენდა აჭარის ავტონომია, რომელიც შეიქმნა 1921 წელს საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის დადებული ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების VI მუხლში ნათქვამია, რომ აჭარას ენიჭება ავტონომიის სტატუსი და რომ “საზოგადოების ყველა წარმომადგენლისათვის გარანტირებულია კულტურული და რელიგიური უფლებები,” რაც აშკარა მინიშნებას წარმოადგენდა ისლამზე.

<sup>17</sup> ინტერვიუ ლევან აბაშიძესთან. 29 ნოემბერი, 2011 წ. აჭარაში მოგზაურობა (ბათუმის გარდა) სიძნელეს წარმოადგენდა როგორც ქართველების, ისე აჭარლებისათვის. ხულოში ჩასასვლელად, მაგალითად, მათ უნდა გადაეღახათ ორი შიდა საზღვარი.

ორგანოები ფუნქციონირებდა, 30-იან წლებში სტალინის მიერ განხორციელებულ მკაცრ პოლიტიკური ცენტრალიზაციის პროცესს თან მოჰყვა აჭარის მუსლიმური სასულიერო მმართველი ორგანოების მოშლა და მეჩეთებისა და სხვა რელიგიური ინსტიტუტების დახურვა.<sup>18</sup> ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა უმრავლესობა ანტი-ისლამური ორიენტაციის იყო. ისინი მეჩეთებს ხშირად სასაწყობე სათავსოებად იყენებდნენ.<sup>19</sup> უფრო მეტიც, საბჭოთა ნაციონალისტური პოლიტიკის შედეგად ქართული ეროვნული იდენტობის განმტკიცება ხდებოდა,<sup>20</sup> რაც ერთი შეხედვით არ იყო ბოლომდე პრო-მართლმადიდებლური, მაგრამ, მიანიშნებდა ისტორიულ კავშირზე ქრისტიანობასთან და ამგვარად, საბოლოოდ ქმნიდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ფუნქციონირებისათვის ხელსაყრელ გარემოს.<sup>21</sup>

<sup>18</sup> რუსლან ბარამიძე, “ეთნიკური ქართველი მუსლიმები: მაღალმთიანი და დაბლობი სოფლების შედარება”, “Ethnic Georgian Muslims: A Comparison of Highland and Lowland Villages,” in *Caucasus Analytical Digest*, No. 20, ed. Thomas Bremer, 11 October 2010, p. 13.

<sup>19</sup> ხულოს მეჩეთს იყენებდნენ საწყობად ქიმიკატებისა და სოფლის მეურნეობის აღჭურვილობისათვის, ხოლო, მეჩეთის გარშემო ტერიტორიას მოსავლის კულტივაციისათვის. მუფთი ასლან აბაშიძის სიტყვებით, მეჩეთის გვერდზე მუსლიმთა ბევრი საფლავი იქნა განადგურებული და მიცვალებულები საფლავიდან ამოყრილი.

<sup>20</sup> საბჭოთა ნაციონალისტური პოლიტიკის უკეთ გასაგებად იხ. იური სლევკინი; Yuri Slezkine, “The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism,” in *Becoming National*, Geoff Eley and Ronald G. Suny, eds., Oxford University Press (1996), pp. 203-238.

<sup>21</sup> იხ. Mathijs Pelkmans, *Defending the Border: Identity, Religion, and Modernity in the Republic of Georgia*, Cornell University Press (2006).





#### IV. მართლმადიდებლობისა და ნაციონალიზმის კავშირი; იდენტობის ტრანსფორმაცია აჭარაში

ზემო აჭარაში დღეისათვის მიმდინარე რელიგიური ტრანსფორმაციის მიზეზები ძირითადად, უნდა ვეძებოთ მთელი რიგი იმ სტრუქტურული ცვლილებების პერიოდში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა ცენტრალიზებული ძალაუფლების შესუსტების დროს. სახელდობრ, “პერესტროიკისა” და “გლასნოსტის” და შემდგომში, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოძრაობის დაწყებამ წარმოშვა ქართული ეთნონაციონალიზმი, რომელშიც მართლმადიდებლობა სიმბოლურ როლს თამაშობდა. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ასევე, შეძლო საკუთარი პოზიციის და დამოუკიდებელი ძალაუფლების განმტკიცება სახელმწიფოს მხრიდან მინიმალური კონტროლის პირობებში და საბოლოოდ, *დე-ფაქტო* გახდა სახელმწიფოს მრჩეველი და გავლენიანი ერთეული. ამგვარად, პოსტ-საბჭოურ საქართველოში ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების მიზნით მართლმადიდებლობის ცენტრალიზაციამ, ისევე, როგორც ზემო აჭარაში სოციალური მობილურობის ზრდამ, უმთავრესად საქართველოს ქრისტიანულ ქალაქებსა და რეგიონებში აშკარა ზემოქმედება იქონია ბევრი აჭარელის რელიგიურ იდენტობაზე.

ქართული ნაციონალიზმისა და მართლმადიდებლობის შერწყმის მიზეზი იყო ‘რენაციონალიზაცია’,<sup>22</sup> რომელიც შედეგად მოიტანა საბჭოთა კავშირის დასუსტებამ. ამ დროს ბევრ ეთნიკურად არარუსულ პოსტ-საბჭოურ სახელმწიფოში დაიწყო სერიოზული მოწოდებები ნაციონალისტურ თემაზე. ამგვარი მოწოდებების მთავარი მონაწილენი საქართველოში იყვნენ ნაციონალისტი დისიდენტები, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომლებმაც წინ წამოსწიეს საკითხი ტიტულოვანი ერის

<sup>22</sup> იხ. Rogers Brubaker, “Nationalizing States Revisited: Projects and Processes of Nationalization in Post-Soviet States,” in *Ethnic and Racial Studies* 34 (2011): 1785-1814

პირველობასთან და მის დასუსტებასთან დაკავშირებით, ასევე, ამ ერის განუყოფელ უფლებასთან დაკავშირებით, აკონტროლოს სახელმწიფო მექანიზმები. ამავდროულად, ერის ელიტარული წარმომადგენლები სახელმწიფოს იყენებდნენ ტიტულოვანი ერის პოზიციის განმტკიცების მიზნით. საქართველოში პოსტ-საბჭოური პოლიტიკური ტრაექტორია საკმაოდ ახლოს იყო ამ კურსთან. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების და გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მცდელობა, სახელმწიფო კონტროლი დაემყარებინათ საქართველოს მოწყვეტილ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებზე, კრახით დასრულდა.<sup>23</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ‘რენაციონალიზაციასთან’ დაკავშირებული მოწოდებები საქართველოში გამსჭვალული იყო მართლმადიდებლური სულიკვეთებით. როგორც ზუბრიუსკი აღნიშნავს, პოსტ-საბჭოურ პოლონეთში რელიგიასთან დაკავშირებულ თავის ანალიზში,<sup>24</sup> რომელიც საქართველოს შემთხვევაშიც შეიძლება გამოვიყენოთ, *დე-ფაქტო* არსებული რელიგიის სიმბოლური ელემენტები ეფექტურად იყო ‘რესაკრალიზებული’. საქართველოში ნაწილობრივ ეს განხორციელდა 1980-იანი წლების ბოლოს, საჯარო სკოლების პროგრამაში ქრისტიანობის ისტორიის შეტანით.<sup>25</sup> 1988 წელს ზვიად გამსახურდიას მიერ წმ. ილია მართლის პოლიტიკურ-რელიგიური საზოგადოების<sup>26</sup> დაარსება, ისევე, როგორც

<sup>23</sup> იხ. Christoph Zürcher, *The Post-Soviet Wars: Rebellion, Ethnic Conflict, and Nationhood in the Caucasus*, New York University Press (2007), pp. 115-151.

<sup>24</sup> Geneviève Zubrzycki, *The Crosses of Auschwitz: Nationalism and Religion in Post-Communist Poland*, University of Chicago Press (2006).

<sup>25</sup> სიმონ პაპუაშვილი, “ანგარიში რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით” ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი; Human Rights Centre (HRIDC), 25 April 2008, p. 7.

<sup>26</sup> ზვიად გამსახურდიამ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტი იყო 1991 წლიდან 1992 წელს მისი ხელისუფლების დამხობამდე, განსაკუთრებული როლი მიანიჭა ქრისტიანობას ქართული ეროვნული იდენტობის განსაზღვრაში. მან მართლმადიდებელი მღვდლები დანიშნა მაღალ პოზიციებზე საქართველოს მუსლიმებით დასახლებულ ზონებში, ხოლო, მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომი *საქართველოს სულიერი მიხია*,



1992 წელს ელუარდ შევარდნაძის მონათლვა<sup>27</sup>, მიუთითებს მართლმადიდებლობის სიმბოლური როლის ზრდაზე. ზოგადად, ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში და მას შემდეგ, ყველანაირად ცდილობს გამოხატოს თავისი ერთგულება ეკლესიისადმი.<sup>28</sup>

ეკლესიის კონსოლიდაცია დამოუკიდებელ ძალაუფლებად იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მართლმადიდებლობას საქართველოს ფართო ეროვნულ თვითშეგნებაში მხოლოდ სიმბოლური როლი არ ექნებოდა. ჯერ კიდევ საბჭოთა ხანაში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია იყო ერთადერთი ფორმალურად დამოუკიდებელი ინსტიტუტი საქართველოში საბჭოთა სისტემის მკაცრი იერარქიის დროს. 1978 წელს ილია II-ის აღსაყდრების შემდეგ, ეკლესიის საქმიანობა უფრო მრავალფეროვანი გახდა.<sup>29</sup> დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მთელი რიგი საკანონმდებლო აქტების ამოქმედებამ და არაოფიციალურმა შეთანხმებებმა მთავრობასთან კიდევ უფრო გააძლიერა მართლმადიდებლური ეკლესიის რეალური გავლენა. 1995 წელს მიღებულმა საქართველოს კონსტიტუციამ, რომელიც იძლეოდა რელიგიის თავისუფლების გარანტიას, აღიარა, რომ “სახელმწიფო სცნობს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის

დამოუკიდებლობას სახელმწიფოსგან.”<sup>30</sup> 2002 წელს სახელმწიფომ დადო განსაკუთრებული კონსტიტუციური შეთანხმება (კონკორდატი) საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიასთან, რომელიც ათავისუფლებს ეკლესიას კონკრეტული გადასახადებისგან, ხოლო, მის მსახურთ სამხედრო ვალდებულებისგან. ასევე, უნაზღაურებს ეკლესიას საბჭოთა პერიოდში მიყენებულ ზარალს. გარდა ამისა, კონკორდატი უფლებას აძლევს საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ითანამშრომლოს სახელმწიფოსთან საჯარო სკოლის სასწავლო პროგრამის შედგენის საქმეში, რითაც ეკლესიას სახელმწიფოს საკონსულტაციო უწყების როლი მიენიჭა.<sup>31</sup> ასევე, 1990-იან წლებში რამდენიმე საშუალო სკოლა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაში გადავიდა.<sup>32</sup>

ცალკეულ შემთხვევებში ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ლობირების გაწევა და დიდი რაოდენობით საკუთარი მხარდამჭერების მობილიზაცია შეეძლო. მნიშვნელოვანია შემთხვევა, რომელიც 2002 წელს კონკორდატის მიღებიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ მოხდა, როდესაც ეკლესიის ჩარევით ხელი არ მოეწერა შეთანხმებას პრეზიდენტ შევარდნაძესა და კათოლიკურ ეკლესიას შორის იმ მიზეზით, რომ მას აკლდა გამჭვირვალობა, რაც თითქოსდა, ზიანს მიაყენებდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენას.<sup>33</sup> 2011 წლის ივლისში საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოაწყო მასობრივი დემონსტრაციები კანონმდებლობაში იმ ცვლილებების შეტანის

“ქართულ ქრისტიანობას აღწერს, როგორც საბრძოლო იდეოლოგიას ქართველი ერის დასაცავად . . . როგორც წყაროს საქართველოს მიერ ‘განსაკუთრებული სულიერების მიზნის’ მისაღწევად . . .” Stephen F. Jones, “Georgia: the trauma of statehood,” in *New States, New Politics: Building the Post-Soviet Nations*, Ian Bremmer and Ray Taras, eds., Cambridge University Press (1997), p. 521.

<sup>27</sup> Lodi News-Sentinel, “Shevardnadze baptized a Christian,” 27 February 1993, p. 18.

<sup>28</sup> ლევან აბაშიძე, “Das Recht der Religionsgemeinschaften in Georgien,” in *Das Recht der Religionsgemeinschaften in Mittel-, Ost- und Südeuropa*, Wolfgang Lienemann and Hans-Richard Reuter, eds., Baden-Baden: Nomos (2005), p. 200.

<sup>29</sup> იქვე

<sup>30</sup> საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი IX

<sup>31</sup> ბერტ მიდელი; Bert Middel, “State and Religion in the Black Sea Region,” NATO Parliamentary Assembly, 25 May 2008, <http://www.nato-pa.int/Default.asp?SHORTCUT=1164>.

<sup>32</sup> აბაშიძე, op cit (ნაშრომი მითითებულია), Ref. 25, გვ. 201. შესაბამისად, ამგვარ ორგანიზაციებში პედაგოგები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ისეთ საგნებს, როგორცაა ‘რელიგია’ და ‘რელიგიური აღზრდა’.

<sup>33</sup> გიორგი სეფაშვილი, “Brethren in Christ, Divided,” Civil Georgia, 29 September 2003, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=5019>.



წინააღმდეგ, რომლებიც უფლებას აძლევს რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებს დარეგისტრირდნენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ეს ცვლილებები მათ ტექნიკურად იმაზე უფრო მაღალ სამართლებრივ სტატუსს აძლევს, ვიდრე მანამდე ჰქონდათ. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილებების მიმღებმა მთავარმა ორგანომ, წმინდა სინოდმა, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ის ადანაშაულებდა მთავრობას, რომ შესწორების შეტანამდე არ გაიარა კონსულტაცია ეკლესიასთან.<sup>34</sup>

გარდა ამისა, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებობს კონსტიტუციის გარეშე ურთიერთობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის პრაქტიკული გავლენის გაძლიერებისათვის. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი ამას ეწინააღმდეგება, ბოლო წლებში სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2009 წლისათვის ეს დაფინანსება სამჯერ მეტი იყო და დაახლოებით 15 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია (აქედან 1.9 მლნ. მიიღო ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულმა ტბელ აბუსერიძის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აჭარაში). კეთილგანწყობის გამოხატვის მიზნით ეკლესიის მაღალი რანგის სასულიერო პირებისათვის იმავე წელს მთავრობამ 10 ძვირფასი ავტომობილი გამოყო.<sup>35</sup> ასევე, 2010 წელს სახელმწიფომ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გამოუყო 15 მლნ., ხოლო, 2011 წელს - 13.6 მლნ. აშშ დოლარი. 2012 წლისათვის სავარაუდოდ დაგეგმილია 13.6 მილიონის გამოყოფა.<sup>36</sup> ამგვარ არაოფიციალურ

<sup>34</sup> "Georgian Orthodox Church softens stance," Civil Georgia, 11 July 2011, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=5019>  
<sup>35</sup> Molly Corso, "Georgia: Church-State Separation Becomes an Issue amid Government Financial Support for Georgian Orthodox Church," EurasiaNet, 7 April 2009, <http://www.eurasianet.org/departments/insightb/articles/eav040609b.shtml>.  
<sup>36</sup> "State Budget Assigned sums for Spending Organizations," Parliamentary Budget Office of Georgia, [http://www.pbo.parliament.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=59](http://www.pbo.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=59).

ურთიერთობას გარკვეული სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ მართლმადიდებლური ეკლესიის მორალურ ავტორიტეტს, პოზიტიური დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ უფრო მეტად განამტკიცებს სახელმწიფოს ძალაუფლებას (ეკლესიის მიმართ პატივისცემას ამჟღავნებენ ასევე ქართული ოპოზიციური პარტიები<sup>37</sup>). იმის გამო, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიას შესწევს უნარი მობილიზაცია გაუკეთოს ოპოზიციას მთავრობის პოლიტიკის განხორციელების წინააღმდეგ, ეს არაფორმალური ურთიერთობა, შესაძლოა, კიდევ უფრო სასარგებლო აღმოჩნდეს სახელმწიფოსათვის.

ამგვარად, მართლმადიდებლობისა და ნაციონალიზმის კავშირი, ასევე, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებების გაფართოება საქართველოში რელიგიური იდენტობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ახალ, ნაციონალისტურ გამოსვლებში იგრძნობოდა რადიკალური ცვლილებები იმასთან დაკავშირებით, თუ რას ნიშნავდა ყოფილიყავი ქართველი. სხვა სიტყვებით, ქართველობა თანდათან ხდებოდა ქართული მართლმადიდებლობის სინონიმი. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისათვის, რომელიც იყო და არის მართლმადიდებელი ქრისტიანი, ეს ტენდენცია შესაძლოა, პრობლემას არ წარმოადგენდეს, მაგრამ ეროვნული იდენტობის მიმანიშნებელი ეს ახალი პრინციპი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აჭარის ეთნიკური ქართველი მოსახლეობისათვის რელიგიური იდენტობის საკითხთან მიმართებაში.

საქართველოს პოსტ-საბჭოური ნაციონალისტური მიმართულების გათვალისწინებით, ზემო აჭარის ზოგიერთმა მკვიდრმა დაიწყო საკუთარი რელიგიური ორიენტაციის შეცვლა ეროვნულ იდენტობასთან დაკავშირებული ახალი "მოლოდინების" შესაბამისად. თუ თავდაპირველად სარწმუნოების შეცვლას ადგილი ჰქონდა აჭარის დაბლობში, ბოლო წლებში იგივე ხდება ზემო აჭარაშიც, განსაკუთრებით ქედასა და შუახევის

<sup>37</sup> "Opposition parties condemn religious groups' legal status law," Civil Georgia, 6 July 2011, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=23708>.



რაიონებში, უფრო ნაკლებად - ხულოს რაიონში. ამ მოხსენების მიზანს არ წარმოადგენს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს რომელიმე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გულწრფელობა მათ რელიგიურ მრწამსთან მიმართებაში, მისი მიზანია ხაზი გაუსვას რელიგიურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს. სახელდობრ, მასში მითითებულია, რომ 1) რელიგიურ ტრანსფორმაციას ადგილი აქვს უმთავრესად ზემო აჭარის მოსახლეობის საშუალო ფენაში, ასევე, ახალგაზრდობაში, რომელიც წარმოადგენს რეგიონის მოსახლეობის სოციალურად უფრო მობილურ სეგმენტს; 2) ტრანსფორმაციის პროცესში მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ მდებარეობას, რადგან ქრისტიანობამ შეაღწია ზემო აჭარის ადვილად მისასვლელ ადმინისტრაციულ ცენტრებში. მაშინ, როდესაც რეგიონის ძნელადმისადგომ სოფლებში ისლამს ფეხი მყარად აქვს მოკიდებული; და 3) აჭარის კულტურულმა და ეთნიკურმა სიხლოვემ საქართველოსთან ხელი შეუწყო რელიგიის შეცვლის პროცესს და ბევრ შემთხვევაში ამ რეგიონის მუსლიმ მოსახლეობას შორის ეროვნული იდენტობა რელიგიურ იდენტობაზე მაღლა დააყენა.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, ზემო აჭარის მოსახლეობის საშუალო ფენაში, რომელიც მასწავლებლების, ექიმებისა და სხვა ადგილობრივი კადრებისგან შედგება, რელიგიურ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით გარკვეული ტენდენციები გაჩნდა. საქართველოს ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის მობილიზაციის პერიოდში, 1990-იანი წლების დასაწყისში, ხშირად ხდებოდა მოსახლეობის საშუალო ფენის იმ სეგმენტის სრული გაქრისტიანება, რომელმაც იმ დროს სრულწლოვან ასაკს მიაღწია. თვით ზემო აჭარის საშუალო ფენის ასაკოვანი მოსახლეობაც ნაწილობრივ ამ პროცესს მიჰყვება; ისინი იშვიათად იღებენ ქრისტიანობას, მაგრამ მათი მუსლიმური იდენტობა შედარებით სუსტია და პირადი რელიგიურობის დონე დაბალი რჩება, თუმცა, შვილები და/ან შვილიშვილები ხშირად ქრისტიანები ჰყავთ.

საშუალო ფენის მიერ ქრისტიანობის მიღებისა და სუსტი მუსლიმური იდენტობის მიზეზები შვიდი ათწლეულით ადრე, ათეისტური საბჭოთა კავშირის პერიოდში

უნდა ვეძიოთ. ამ დროს აშკარა იყო რელიგიური საქმიანობის ნაკლებობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რელიგიას ზემო აჭარის საშუალო ფენის ცხოვრებაშიც კი არანაირი პრიორიტეტი არ ენიჭებოდა. ხულოში მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან ჩანს, რომ იმ დროს საშუალო ფენაში მუსლიმური წესით აღზრდა არ ხდებოდა. ერთ-ერთმა გაქრისტიანებულმა მასწავლებელმა აღნიშნა “მე არასოდეს ვყოფილვარ ნამდვილი მუსლიმი. არ მაქვს წაკითხული ყურანი და არც ისლამის პრინციპები ვიცი, მე ისიც კი არ ვიცი, როგორ ვილოცო.”<sup>38</sup> გაქრისტიანების ასეთი შემთხვევები ხშირი იყო 1991 წელს,<sup>39</sup> რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტიანობის მიღების პროცესს ხელს უწყობდა მუსლიმური აღზრის სისუსტე და საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის გაერთიანების პერიოდი.

ზემო აჭარაში მუსლიმური იდენტობა საშუალო ფენის ხანდაზმულ მოსახლეობაშიც კი არასდროს ყოფილა განსაკუთრებით ძლიერი.<sup>40</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ხანდაზმული ექიმი და მასწავლებელი თავის ტრადიციულ კონფესიად ისლამს აღიარებს, ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი რელიგიურ წესებს ნაკლებად იცავენ და შემოიფარგლებიან მთავარი რელიგიური დღესასწაულის - ყურბან-ბაირამის აღნიშვნით. ფაქტობრივად, რელიგიურ საკითხებზე მსჯელობისას საშუალო ფენის

<sup>38</sup> სხვა მასწავლებლებმა დაადასტურეს ეს სიტყვები და თქვეს, რომ საბჭოთა კავშირის დროს მშობლები ხშირად ვერ ახერხებდნენ შვილებისათვის ისლამის შესახებ ცოდნის მიცემას. ინტერვიუ ხულოს საშუალო სკოლაში, 26 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>39</sup> ინტერვიუები ხულოს საშუალო სკოლაში, 26 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>40</sup> ამის საპირისპიროდ, ზემო აჭარის მოსახლეობის უფრო ხნიერი ნაწილი, რომელიც არ მიეკუთვნება საშუალო კლასს, ამჟღავნებს რელიგიურობის უფრო მაღალ დონეს. ზემო აჭარაში ახალგაზრდა მუსლიმებთან და ქრისტიანებთან რელიგიურ საკითხებზე საუბრისას ბევრი აღნიშნავდა, რომ მეჩეთში რეგულარულად დადიან და რელიგიურ წესებს აღასრულებენ მხოლოდ მოხუცები. რასაკვირველია, კატეგორია ‘მოხუცები’ არ გულისხმობს კლასობრივ განსხვავებას, თუმცა განწყობა გასაგებია.



წარმომადგენელი ხანდაზმული აჭარლები თავს არიდებენ ისლამზე საუბარს. ისინი ჩვეულებრივ წარმოთქვამენ ფრაზას “ღმერთი ერთია და მთავარი სწორედ ეს არის”, რაც ასახავს მათ ნამდვილ რწმენას რელიგიური დოგმატიზმის გარეშე.<sup>41</sup> ზემო აჭარის მოსახლეობის ამ ნაწილს აქვს ტენდენცია ისლამზე მაღლა ეროვნული იდენტობა დააყენოს და ხშირად, მართლმადიდებლობის გავრცელებას უარყოფითად არ უყურებს.<sup>42</sup>

რელიგიური ტრანსფორმაცია იგივე სქემით მიმდინარეობს ზემო აჭარის უფრო ახალგაზრდა მოსახლეობაში, თუმცა მათ შორის ქრისტიანობის მიღების მანქანებელი უფრო მაღალია. აღნიშნული პროცესის მთავარ მიზეზს მოსახლეობის ამ ნაწილის უფრო მეტი მობილობა და ეროვნული იდენტობის მართლმადიდებლობასთან დაკავშირება წარმოადგენს, რაც ასე შესაძლებელია საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. სახელდობრ, ზემო აჭარის მკვიდრ ახალგაზრდა მუსლიმებს შეუძლიათ შეინარჩუნონ თავიანთი რელიგიური რწმენა მანამ, სანამ ისინი რჩებიან საკუთარ გარემოში. მაგრამ, თუ ჩავლენ ბათუმში ან საქართველოს სხვა რეგიონებში უმაღლესი განათლების მისაღებად ან სამუშაოს საძებნელად, ხშირად განიცდიან ზეწოლას რელიგიური რწმენის შეცვლასთან დაკავშირებით, რათა თავიდან აიცილონ სოციალური გარიყულობა.<sup>43</sup>

<sup>41</sup> ინტერვიუები დიდაჭარაში (9 დეკემბერი, 2011 წ.) და რიკეთში (12 დეკემბერი, 2011 წ.)

<sup>42</sup> ხანშიშესულმა მუსლიმმა მასწავლებელმა გამოთქვა დადებითი აზრი ხულოს რაიონში ეკლესიების მშენებლობასთან დაკავშირებით და რეგიონში მიმდინარე რელიგიურ ტრანსფორმაციას უწოდა აჭარის ‘დაბრუნება’ საქართველოში.

<sup>43</sup> ერთი ამბავი, რომელიც მოგვიყვა ხულოს მუსლიმური სადღეღამისო სკოლის დირექტორმა განსაკუთრებით კარგად ასახავს ახალგაზრდობის მიერ რელიგიური რწმენის შეცვლის და მუსლიმი ლიდერების მიერ ამ ტენდენციის აღქმის ფაქტს: “ახალგაზრდებმა არ იციან, თუ რატომ იცვლიან რელიგიას. ერთხელ მე შევხვდი სტუდენტს, რომელიც ისლამიდან ქრისტიანულ რწმენაზე გადავიდა. მე ვკითხე, თუ რატომ მიიღო მან ასეთი გადაწყვეტილება და მან მიპასუხა, რომ მისი მეგობრები იყვნენ ქრისტიანები. შემდეგ მე ვკითხე, თუ რატომ შეიწუხა თავი ქრისტიანობის მისაღებად თუ არასდროს აპირებდა ეკლესიაში სიარულსა და ქრისტიანული წესით ცხოვრებას

ზემო აჭარაში არსებული ეკონომიკური სიტუაცია არის ის მთავარი ფაქტორი, რომელიც უბიძგებს იქ მცხოვრებ ახალგაზრდობას გადაადგილდნენ საქართველოს სხვა რეგიონებში, რაც წარმოადგენს არაპირდაპირ ფაქტორს რელიგიური რწმენის შეცვლის დასაჩქარებლად. ამ რეგიონის ეკონომიკის საფუძველს, უმთავრესად, მიწათმოქმედება წარმოადგენს, რაც გულისხმობს მესაქონლეობას, კარტოფილის, ლობიოს, თამბაქოს წარმოებას.<sup>44</sup> ამ რეგიონში საბჭოთა პერიოდის სამრეწველო ობიექტების უმეტესობა ამჟამად არ ფუნქციონირებს. ხულოსა და შუახევის რაიონებში ერთ დროს არსებული საქსოვი და ხილის წვენების ფაბრიკები დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიხურა.<sup>45</sup> გარდა ამისა, ზემო აჭარაში არ არის არჩევანი უმაღლესი განათლების მისაღებად, შუახევი საპატრიარქოსთან არსებული ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის გარდა. ამგვარად, დაბალი ხელფასები, ზოგადი სიღარიბე და შეზღუდული შესაძლებლობები ზემო აჭარაში, აიძულებს ახალგაზრდა აჭარლების უმრავლესობას გადაადგილდნენ საქართველოს სხვა რეგიონებში განათლების მისაღებად და სამუშაოს საძიებლად.<sup>46</sup>

ზოგ შემთხვევაში ახალგაზრდა აჭარლები უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ საკუთარ სოფლებში ბრუნდებიან,<sup>47</sup> მაგრამ, როდესაც ისინი ქალაქში რჩებიან, იღებენ ქრისტიანობას ან უბრალოდ კარგავენ

და მან ამაზე პასუხი ვერ მომცა. ჩემი აზრით, მან ეს გააკეთა იმისათვის, რომ უკეთესად გამოჩენილიყო მეგობრების თვალში. ამგვარ შეცდომას ბევრი ახალგაზრდა უშვებს. ისინი იცვლიან რწმენას სხვების გულისთვის.” ინტერვიუ ხულოს მუფტიატში, 28 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>44</sup> ინტერვიუ ხულოს საშუალო სკოლაში, 26 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>45</sup> ინტერვიუები შუახევიში (7 დეკემბერი, 2011 წ.) და ხულოში (10 დეკემბერი, 2011 წ.).

<sup>46</sup> დიდაჭარის საშუალო სკოლის 20 კურსდამთავრებულიდან 13 საქართველოს სხვა ქალაქში წავიდა სწავლის გასაგრძელებლად. ინტერვიუები ხულოს საშუალო სკოლაში (27 ოქტომბერი, 2011 წ.) და დიდაჭარის საშუალო სკოლაში (9 დეკემბერი, 2011 წ.).

<sup>47</sup> ინტერვიუები დიდაჭარის საშუალო სკოლაში (9 დეკემბერი, 2011 წ.) და რიკეთის საშუალო სკოლაში (12 დეკემბერი, 2011 წ.).



თავიანთ მუსლიმურ იდენტობას. ეს ტენდენცია ხაზგასმით აღინიშნებოდა 2011 წლის ოქტომბერ-დეკემბერში ზემო აჭარაში განხორციელებული საველე სამუშაოების დროს ჩატარებულ თითქმის ყველა ინტერვიუსა და ფოკუს-ჯგუფში. როგორც ხულოს მუფთი ასლან აბაშიძე აღწერდა “მიწა აქ ცოტაა და როდესაც ოჯახში ორი ან სამი შვილია, ხშირად თავს იჩენს ეკონომიკური პრობლემები. სოფლის ცხოვრებით დაღლილები, მიდიან ქალაქში და ხედავენ, თუ როგორ ცხოვრობენ სხვა [რელიგიური] ქართველები. საბოლოოდ, ისინი იღებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, რათა ქალაქში უკეთ იგრძნონ თავი მეგობრების თუ მეზობლების წინაშე.”<sup>48</sup>

ამასთან, ზემო აჭარაში რელიგიური ტრანსფორმაციის პროცესში, აშკარად იკვეთება გეოგრაფიული ასპექტი. ქრისტიანობის პრივილეგირებული როლი ბათუმში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ზუსტად ამ გეოგრაფიული ასპექტის თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენს, განსაკუთრებით, თუ გავიხსენებთ ახალგაზრდა თაობის მიგრაციულ მარშრუტს ქალაქებისკენ. გარდა ამისა, გეოგრაფიული ფაქტორი სარწმუნოების შეცვლის პროცესში აისახა იმაშიც, რომ მკვეთრად შემოისაზღვრა ის ტერიტორიები, სადაც ქრისტიანობა პრივილეგირებული რელიგია გახდა.

ზოგადად, ქრისტიანობის გავრცელება ზემო აჭარაში შეიძლება უკავშირდებოდეს რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრებს, ასევე, ცენტრალური გზის და ისტორიული სავაჭრო მარშრუტების გასწვრივ არსებულ კონკრეტულ დასახლებებს. ამ რეგიონში არსებული ცნობილი ქრისტიანული ღირსშესანიშნაობების დიდი ნაწილი განლაგებულია ბათუმი-ახალციხის ისტორიული გზის გამართული ინფრასტრუქტურული მონაკვეთების გასწვრივ, რომელთა შორისაა საპატრიარქოსთან არსებული ტბელ აბუსერიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხიჭაურში და ახალი მართლმადიდებლური ეკლესია ხულოში.<sup>49</sup>

<sup>48</sup> იმამების ფოკუს-ჯგუფი ხულოს მუფტიატში, 1 ნოემბერი, 2011 წ.

<sup>49</sup> უნდა აღინიშნოს, რომ შუახევის ადმინისტრაციულ ცენტრში, რომელიც მდებარეობს ბათუმი-ახალციხის ტრასაზე, არ

აჭარის მთავრობის ერთერთმა მაღალჩინოსანმა სოფ. სხალთა, შუა საუკუნეების ჰუმანისტის ტბელ აბუსერიძის მშობლიური სოფელი და ამჟამინდელი სხალთის ეპარქიის ცენტრი, მოიხსენია, როგორც უძველესი სავაჭრო გზის გასწვრივ მდებარე დასახლება, სადაც ისტორიულად ქრისტიანები ისლამის მიმდევრებზე მეტნი იყვნენ.<sup>50</sup>

ამისგან განსხვავებით, ბათუმ-ახალქალაქის მთავარი გზატკეცილის გასწვრივ ან ხულოს ადმოსავლეთით მდებარე სოფლებში ექსკურსიისას<sup>51</sup> ჩანს, რომ რელიგიური ღანდშაფტი, ძირითადად, მაინც ზემო აჭარის მუსლიმურ ტრადიციებს ასახავს. ამგვარ იზოლირებულ და ნაკლებად განვითარებულ დასახლებებში ტრადიციული ოჯახის სტრუქტურა და ცხოვრების წესი უმეტესწილად შენარჩუნებულია და თითქმის არაფერი მიანიშნებს რელიგიური იდენტობის შეცვლაზე. შესაბამისად, ისეთ დასახლებებში, როგორებიცაა დიდაჭარა, დუაძეები, უჩხო, გურთა თუ რიკეთი, არცერთ მუსლიმ ოჯახს არ უფიქრია რელიგიის შეცვლაზე. მთავარი გზიდან მნიშვნელოვნად მოცილებული დასახლება ღორჯომი ცნობილია იმით, რომ იქ განსაკუთრებით იცავენ ისლამურ ტრადიციებს, ხოლო მეჩეთებისა და მადრასაჰების რაოდენობა მატულობს.<sup>52</sup> გარდა ამისა, ხულოს რაიონის სოფლებში კვლავაც იცავენ ისეთ ისლამურ ტრადიციებს, როგორებიცაა ვაზიფი, ოშორი

არის მეჩეთი. რაიონის კულტურის ცენტრი ორმაგად ხალხმრავალი ხდება კვირაობით მართლმადიდებელ ეკლესიაში მოსული ადამიანების გამო. ინტერვიუ შუახევის კულტურულ ცენტრში, 7 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>50</sup> ინტერვიუ აჭარის პარლამენტში, ბათუმი, 5 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>51</sup> სოფლებში გზები დაგებული არ არის და იქ მოძრაობა ძნელია. ბათუმი-ახალციხის ტრასა, რომელიც თითქმის მთლიანად არის დაგებული ბათუმიდან ხულოს რაიონულ ცენტრამდე - ხულოდან ადმოსავლეთის მიმართულებით გრძელდება ატალახებულ, გადათხრილი გზის სახით. გარდა ამისა, ამ რეგიონში მგზავრობა საშიშია ზვავების გამო, მთავარ გზაზე ხშირად ცვივა ქვები. სავარაუდოდ სწორედ სრული იზოლაციისა და გაუვალი გზების გამო მოხდა ისლამის ამ დონეზე შენარჩუნება ხულოს რაიონში.

<sup>52</sup> ბარამიძე, op cit, Ref. 19, pp. 13-15.



და ზეკატი.<sup>53</sup> ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ზემო აჭარიდან წამოსული ახალგაზრდები სშირად იცვლიან სარწმუნოებას და ხდებიან ქრისტიანები, ისლამი მაინც რჩება მთავარ რელიგიად ამ რეგიონის სოფლის მოსახლეობას შორის.

და ბოლოს, ზემო აჭარაში რელიგიურ ტრანსფორმაციაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ის ფაქტი, რომ ეს არის უდავოდ ქართული რეგიონი, როგორც ეთნიკურად, ისე კულტურით. განსხვავებით ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტებისაგან, რომლებიც ტიტულოვანი ქართული ეთნოსისგან აშკარად გამოხატული ეთნიკური და კულტურული ნიშნებით განსხვავდებიან და ამგვარად, გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული კულტურული საფუძველი თავიანთი ისლამური ტრადიციების შესანარჩუნებლად, აჭარლები ეთნიკურად ქართველები არიან. იქ მცხოვრებთათვის პირველი ენა ქართულია და რეგიონში მცხოვრები ბევრი ოჯახი ინარჩუნებს მკვეთრად გამოხატულ ქართულ ტრადიციულ ადათ-წესებს, მაგალითად, როგორცაა ღვინის და არყის (ჭაჭის) წარმოება.<sup>54</sup> სმის ქართული კულტურა ძლიერია ზემო აჭარის მოსახლეობის საშუალო ფენაში, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რომლებიც ქართულ ეროვნულ იდენტობას, როგორც წესი, თავიანთ ისლამურ რწმენაზე მაღლა აყენებენ.<sup>55</sup> უნდა აღინიშნოს, რომ საშუალო

<sup>53</sup> ამ ტრადიციებში იგულისხმება: პროდუქტებისა და ფულის შეგროვება მოსახლეობაში, პირადად მოყვანილი ნატურალური პროდუქტების გარკვეული პროცენტული რაოდენობის გადაცემა გაჭირვებული ოჯახებისათვის, მდიდარი მაცხოვრებლების მიერ ღარიბებისათვის ფულის გადაცემა. ინტერვიუ მუფთი ასლან აბაშიძესთან, 8 დეკემბერი, 2011.

<sup>54</sup> ინტერვიუ ხულოში. 10 დეკემბერი, 2011 წ. ამ შემთხვევაში ხანდაზმულმა ხულოელმა მუსლიმმა, დეტალურად აღწერა ღვინის დაყენების წესები. ECMI-ს მიერ რიკეთში განხორციელებული სავლევ სამუშაოებისას აღმოჩნდა, რომ ბევრი ადგილობრივი მაცხოვრებელი დიდი რაოდენობით ხდის ჭაჭას. ზემო აჭარაში, ბევრჯერ იქნა შენიშნული ერთად სმის ტრადიცია. ტრადიცია, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული მთელს საქართველოში.

<sup>55</sup> ზემო აჭარის საშუალო ფენის მაცხოვრებლებთან არაერთი საუბრისას,

ფენის წარმომადგენლები ყოველდღიურად არ იცავენ სავალდებულო ისლამურ წესებს.<sup>56</sup>

ქართულ იდენტობას და ქართული ადათ-წესების დაცვას არ ეწინააღმდეგება ზემო აჭარის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც სუსტი კავშირი აქვს ისლამთან. გარკვეული სოლიდარობის გრძობა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც ქართულ კულტურულ ინსტიტუტის მიმართ, ზემო აჭარის საშუალო ფენის მუსლიმებისთვის უცხო არ არის. ასეთი მუსლიმების უმრავლესობა უყოყმანოდ უსვამს ხაზს თავის ერთგულებას ქართველი ერისადმი და გულწრფელად სცემს პატივს რელიგიური არჩევანის შესაძლებლობას (ე.ი. მუსლიმების მიერ ქრისტიანობის მიღებას). ამგვარად, ბევრი აჭარელი მუსლიმის მიერ ეროვნული იდენტობის მაღლა დაყენებამ საფუძველი ჩაუყარა რელიგიური ტრანსფორმაციის პროცესს ქრისტიანობის სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა, გაქრისტიანების პროცესი არ ნიშნავს სხვა რელიგიური შეხედულებების იგნორირებას ზემო აჭარაში. რეგიონის მუსლიმ ლიდერებს და ზემო აჭარის მოსახლეობის უფრო რელიგიურ ნაწილს, რომლებიც ცხოვრობენ ჩვეულებრივი ქართული სტილის ცხოვრებით, იღებენ ალკოჰოლს და მისდევენ მართლმადიდებლურ წესებს, გააჩნია შინაგანი წინააღმდეგობა საკუთარი მუსლიმური რწმენის მიმართ. მოსახლეობის ეს ნაწილი თავს ქართველად თვლის და თანახმაა მხარი დაუჭიროს სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარებას, რითაც მათი ერთგულება ერის წინაშე არ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ განსხვავებული რელიგიური მრწამსის გამო.

იგრძნობოდა ნაციონალისტური ორიენტაცია ისტორიის ანალიზის დროს. საზოგადოების ეს ნაწილი მწვავედ აკრიტიკებდა ოტომანთა მიერ აჭარის დაპყრობას და სშირად აღნიშნავდა იმას, თუ რა ფართობის ქართული ტერიტორია იყო ამჟამად თურქეთის კონტროლის ქვეშ, რაც მიუთითებს საქართველოს ჰეგემონიაზე აღმოსავლეთ ანატოლიაში მე-12 - მე-13 საუკუნეებში.

<sup>56</sup> რიკეთში გარეული ტახის დაკვლასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე, პრობლემას წარმოადგენდა თუ არა ღორის ხორცის ჭამა ადგილობრივი მუსლიმებისათვის, ერთერთმა მათგანმა ასეთი პასუხი გაგვცა, “გავიჟღერებთ ტახის ხორცი რომ არ ვჭამოთ! სხვაგან სად ვიშოვით ასეთი ხარისხის ხორცს?”



ამასთან, ბევრი მუსლიმი ლიდერი იმედგაცრუებას გამოხატავს საკუთარი რელიგიის მომავლის გამო, რაც შეიძლება ნაციონალისტურ სულისკვეთებას მოჰყვეს.<sup>57</sup> ქვემოთ განხილულია ზემო აჭარის საზოგადოების უფრო რელიგიური ნაწილის ღონისძიებები საკუთარი ისლამური ტრადიციების შესანარჩუნებლად, ისე, რომ ამასთანავე, ერთგულნი დარჩნენ ქართველი ერის მიმართ.

## V. ადგილობრივი ინსტიტუტების ზეგავლენა რელიგიურ იდენტობაზე ზემო აჭარაში

ზემო აჭარაში სტრუქტურული განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს იდენტობის ტრანსფორმაციის საქმეში. გარდა ამისა, რელიგიური იდენტობის ჩამოყალიბებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივი მოღვაწენი და ინსტიტუტები. განსაკუთრებით შეიძლება გამოვყოთ ინსტიტუტების სამი კატეგორია: 1) საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მასთან დაკავშირებული ინსტიტუტები; 2) საჯარო საშუალო სკოლები; და 3) ადგილობრივი მეჩეთები, *მადრასაჰები* და დამოუკიდებელი ისლამური ორგანიზაციები. თითოეული ინსტიტუტი საგანმანათლებლო მომსახურებას სთავაზობს აჭარის მოსახლეობას და ამგვარად, შეუძლია ეფექტურად გადასცეს მას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, კონკრეტული რელიგიური კონცეფციები. ამასთან, ამ ინსტიტუტებს აქვთ სხვადასხვა დაფინანსების წყაროები და სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც გააჩნია ფართო ადმინისტრაციული და საკონსულტაციო პრივილეგიები სახალხო განათლების სფეროში და იღებს მნიშვნელოვან დაფინანსებას სახელმწიფოსგან, სარგებლობს უპირატესობით კერძო დაფინანსებაზე

არსებულ ისლამურ ინსტიტუტებთან შედარებით.

### 5.1 ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ზემო აჭარაში: ეკლესიის ზეგავლენის გაფართოება განათლების გზით

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიქმნა ისეთი გარემო, რომელშიც რელიგიურ ინსტიტუტებს მაქსიმალურად თავისუფლად შეეძლოთ მოქმედება. როგორც ამ მოხსენებაში ადრე უკვე ითქვა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებით მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული სახელმწიფოს 'რენაციონალიზაციის' შედეგად და აგრეთვე, დამატებით იმ დამოკიდებულების შედეგად, რომელიც ჩამოყალიბდა ქართულ ეროვნულ იდენტობასა და მართლმადიდებლობას შორის გამსახურდიასა და შევარდნაძის რეჟიმების დროს. აჭარა, მიუხედავად თავისი ავტონომიური სტატუსისა, რომელიც მას მიენიჭა იქ არსებული ძირითადი რელიგიის, სუნიტური ისლამის საფუძველზე, არ აღმოჩნდა გამონაკლისი ამ ტენდენციასთან მიმართებაში. თბილისის ცენტრალური და ბათუმის რეგიონული მთავრობების მაღალჩინოსნების დახმარებით ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1990-იან წლებში წამოიწყო კამპანია აჭარის გასაქრისტიანებლად. ეს პროცესი განსაკუთრებით სწრაფად გაგრძელდა ქვემო აჭარაში, კერძოდ, ბათუმსა და ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარე დასახლებებში. მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბათუმში ამოქმედდა 14 ქრისტიანული ეკლესია, მაშინ, როცა ქალაქში ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი მეჩეთი.<sup>58</sup>

1990-იანი წლების დასაწყისში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ ასევე მოექცა ზემო აჭარის ადმინისტრაციული ცენტრები, თუმცა, უფრო ნაკლებად, ვიდრე დაბლობში. ხულოში მოღვაწე მართლმადიდებელი მღვდლის სიტყვებით, ქართული მართლმადიდებელი

<sup>57</sup> იმამების ფოკუს-ჯგუფი ხულოს მუფტიატში, 1 ნოემბერი, 2011; ინტერვიუ მუფთი ჯემალ ფხაკაძესთან, ბათუმი, 13 დეკემბერი, 2001.

<sup>58</sup> სანიკიძე და ვოლკერი; Sanikidze and Walker, op cit, Ref 14, p. 13. მუსლიმმა ლიდერებმა ხულოში გამოთქვეს ბათუმში მეორე მეჩეთის გასხნის სურვილი, თუმცა მთავრობის მხრიდან სერიოზულ მხარდაჭერას დღემდე ადგილი არ ჰქონია.





ეკლესიის გავრცელების არეალი ამ ზონაში შეზღუდულია: “ძალიან ძნელია დაარწმუნო ადგილობრივები, ირწმუნონ ქრისტიანობა, რადგან თურქეთი აქ აფინანსებს ბევრ ისლამურ ინსტიტუტს. ხულოს გარშემო სოფლებში არსებული ეკლესიები არცთუ ისე აქტიურად ფუნქციონირებენ. ხანდახან ჩვენ მისიონერებს ვაგზავნი იქ, მაგრამ ეს იშვიათად ხდება.”<sup>59</sup> პოსტ-საბჭოურ წლებში აქ გააქტიურდნენ სხვა მართლმადიდებლური ორგანიზაციები. ‘მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი’, ჯგუფი, რომელიც ამჟამად აღარ ფუნქციონირებს, ცნობილი იყო მართლმადიდებლობის აგრესიული პროპაგანდით აჭარასა და საქართველოს სხვა ტრადიციულად მუსლიმურ ზონებში, დგამდა ჯერებს ღვთისმსახურების არამართლმადიდებლურ ადგილებში და ავრცელებდა ანტაგონისტურ მოწოდებებს სხვა კონფესიების საწინააღმდეგოდ.<sup>60</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ დღეს პირდაპირ ზემოქმედებას რელიგიური რწმენის შესაცვლელად ადგილი არა აქვს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ამას მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გახსნით და ეკლესიების მშენებლობით აკეთებს. 1991 წელს ხულოში აშენდა ახალი ეკლესია და გამსახურდიას მთავრობამ ქალაქის სკოლა-ინტერნატი ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას დაუქვემდებარა. სკოლისა და ეკლესიის ეს კომბინაცია მდებარეობს ქალაქთან ახლოს, ერთმანეთის გვერდით და წარმოადგენს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარ წარმომადგენლობას ხულოს რაიონში. სკოლა თავიდან ასრულებდა საშუალო სკოლის, პროფტექნიკური სასწავლებლის და სემინარიის ფუნქციას, მაგრამ მოგვიანებით, მან პროფტექნიკური სასწავლებლის ფუნქცია დაკარგა და ახლა, უმთავრესად, საშუალო სკოლის ფუნქციას ასრულებს. სკოლაში სწავლობენ როგორც ქრისტიანები, ისე მუსლიმები, თუმცა, მისი ორიენტაცია რელიგიური თვალსაზრისით უდავოდ

ქრისტიანულია. როგორც ერთ-ერთი მასწავლებელი ამბობს, “ჩვენი სკოლა უპირველეს ყოვლისა ასწავლის ქრისტიანულ, იესო ქრისტეს მოძღვრებას.”<sup>61</sup> გარდა ამისა, სკოლაში გახსნილია საბავშვო ბაღი, სადაც იქაური მღვდლები ღოცავენ ყველა ბავშვს, განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა.<sup>62</sup> ხულოში არ არის შეზღუდული ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება. 2009 წლის სექტემბერში შუახევის რაიონის სოფ. ხიჭაურში გაიხსნა ტბელ აბუსერიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გახსნის საზეიმო ცერემონიალს ესწრებოდნენ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალი რანგის წარმომადგენლები და აჭარის მთავრობის მაღალჩინოსნები.<sup>63</sup> ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის ქვეშ არსებულმა უნივერსიტეტმა პირველად 331 სტუდენტი მიიღო, უმთავრესად ზემო აჭარიდან, ახლა კი, იქ დაახლოებით 500 სტუდენტი სწავლობს.<sup>64</sup> უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს ბაკალავრისა (ქართული ფილოლოგია, საქართველოს ისტორია, ხელოვნება, პედაგოგიკა, ჟურნალისტიკა, მენეჯმენტი, ბიზნესის მენეჯმენტი და მედიცინა) და სამაგისტრო კურსებს (საქართველოს ისტორია, განათლების მენეჯმენტი, ქართული ლიტერატურა, ლინგვისტიკა, ჟურნალისტიკა და არქეოლოგია). აღსანიშნავია ისიც, რომ სწავლა და კვება სრულიად უფასოა ინსტიტუტის აჭარელი სტუდენტებისათვის.<sup>65</sup> ამგვარი პოლიტიკა გამონაკლისია საქართველოს სახელმწიფო

<sup>61</sup> ინტერვიუ სკოლა-ინტერნატის ლიტერატურის მასწავლებელთან, ხულო, 17 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>62</sup> ინტერვიუ ხულოში, 1 ნოემბერი, 2011 წ.

<sup>63</sup> “ხიჩაურში დღეს ოფიციალურად გაიხსნა ტბელ აბუსერიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, აჭარის ტელევიზია, 24 სექტემბერი, 2009 წ. <http://www.adjaratv.ge/en/index.php?page=shownews&id=6545>.

<sup>64</sup> უნივერსიტეტთან ახლოს მდებარე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ საშუალო სკოლაში დაახლოებით 700 მოსწავლეა.

<sup>65</sup> ინტერვიუ ტბელ აბუსერიძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხიჩაური, 7 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>59</sup> ინტერვიუ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ საშუალო სკოლაში, ხულო, 18 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>60</sup> სხვათა შორის, ‘მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი’ ახლახანს დახურეს. ამ ორგანიზაციის ვებ-გვერდი უკვე მიუწვდომელია, ხოლო მისი რვა წევრი ამჟამად ციხეშია. ინტერვიუ ბექა მინდიაშვილთან, თბილისი, 28 ნოემბერი, 2011 წ.



უნივერსიტეტებისათვის, რადგან ქვეყნის სხვა უნივერსიტეტებში ყველა სტუდენტი იხდის სწავლის საფასურს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი რეგიონიდანაა ის.<sup>66</sup>

იმის გამო, რომ ამ უნივერსიტეტს სახელმწიფო ინსტიტუტის სტატუსი გააჩნია, ის რელიგიასთან მიმართებაში ნეიტრალურია. თუმცა, ცხადად ჩანს მართლმადიდებლური სარწმუნოების უპირატესობა, რადგან პედაგოგთა შორის ბევრია საქართველოს სხვა რეგიონებიდან მოწვეული მღვდელი. მართლმადიდებლობას ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ისტორიის სწავლებისას. როგორც ერთმა ისტორიის მასწავლებელმა მღვდელმა აღნიშნა, უნივერსიტეტის ისტორიის პროგრამა ითვალისწინებს “ზუსტი ფაქტების სწავლებას” აჭარის რელიგიის შესახებ, რაც ნიშნავს იმას, რომ მართლმადიდებლობას უნდა მოეპყრონ როგორც პირველად სარწმუნოებას აჭარის ისტორიაში, ხოლო ისლამი წარმოდგენილი იყოს როგორც ისტორიული გადახრა, თავსმოხვეული ოტომანი დამპყრობლების მიერ, ხაზი უნდა გაესვას ამ რეგიონის საქართველოსთვის დაბრუნების საჭიროებას ქრისტიანულ სარწმუნოებაზე გადასვლის გზით.<sup>67</sup>

კიდევ ერთი შედეგი ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებისა ზემო აჭარაში, ამ რეგიონში ეკლესიების დაჩქარებული მშენებლობაა. უნდა აღინიშნოს ახალი მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობა ხულოს რაიონულ ცენტრში, რომელიც დაიწყო 2010 წელს. ის აღმართულია ბათუმში-

<sup>66</sup> ინტერვიუ დიდაჭარის საშუალო სკოლაში, 9 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>67</sup> ამგვარი მოსაზრება გამოთქვა უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა. იმავე მღვდლის აზრით, ხაზი უნდა გაესვას აჭარის ისტორიის ამ კონკრეტულ კონცეფციას, ვინაიდან, რეგიონში მცხოვრები ბევრი ახალგაზრდა თურქეთში მიემგზავრება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უმაღლესი განათლების მისაღებად. გარდა იმისა, რომ თურქეთის უნივერსიტეტებში აჭარელ სტუდენტებს უყალიბდებათ ისლამური იდენტობის ძლიერი გრძნობა, მათ, როგორც ჩანს აძლევენ ინსტრუქციებს აჭარის ისტორიის შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მიცემულ ინფორმაციას. ინტერვიუები ტბელ აბუსერიძის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხიზაური, 7 დეკემბერი, 2011 წ.

ახალქალაქის ტრასის ზემოთ, შესამჩნევ ადგილზე და მისი დასრულება დაგეგმილია 2012 წელს. ეს იქნება მეორე მართლმადიდებლური ეკლესია ამ რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში. დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობდა ეკლესიის მშენებლობა შუახევშიც, სოფ. ოლადაურში, რომელიც ახლახანს დასრულდა.<sup>68</sup> მშენებლობის პროცესშია ეკლესია ტბელ აბუსერიძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.

ბევრ მუსლიმს ზემო აჭარაში ზოგადად, არ აწუხებს ეკლესიების მშენებლობა, თუმცა, ზოგიერთი მუსლიმი ლიდერი გამოთქვამს უკმაყოფილებას იმ მოსაზრებით, რომ სახელმწიფო უპირატესობას ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ანიჭებს, განსაკუთრებით იმით, რომ აფინანსებს ეკლესიების მშენებლობას. ერთ-ერთმა ცნობილმა მუსლიმმა ლიდერმა ხულოში განაცხადა: “ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს ახალი ეკლესიის მშენებლობა ხულოში, ჩვენ გვინდა, რომ ეს მშენებლობა გაგრძელდეს, მაგრამ რატომ უნდა ჩანდეს ჯვრები ყველა ჩვენი გზებიდან და სოფლებიდან? რატომ ამბობენ, რომ ახალი ეკლესიები უნდა აშენდეს აჭარის ყველა ულამაზეს ადგილზე, როდესაც ხულოს მოსახლეობის 99% მუსლიმია? ეკლესია მუდმივად დებულობს დახმარებას სახელმწიფოსგან, ჩვენ კი არავითარ ფინანსურ დახმარებას არ გვაძლევენ ჩვენი მეჩეთების ადღეებისა თუ შენახვისათვის.”<sup>69</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დემოგრაფიული მონაცემის სისწორე მუსლიმთა 99% -თან დაკავშირებით საუკვოა, თუ გავითვალისწინებთ იმ ადამიანების რაოდენობას, რომლებიც იცვლიან რელიგიურ რწმენას, აგრეთვე იმას, რომ აქ არ არსებობს ახალი, ზუსტი მონაცემები ამასთან დაკავშირებით, ეჭვგარეშეა სახელმწიფოს

<sup>68</sup> ეკლესიის ინაუგურაციას ესწრებოდნენ ბათუმისა და სხალთის ეპარქიის არქიეპისკოპოსი დიმიტრი და აჭარის მთავრობის რამდენიმე მადალჩინოსანი. გარდა ამისა, ეკლესიის გახსნისას მოინათლა 200 ადგილობრივი მაცხოვრებელი. “შუახევში გაიხსნა ეკლესია,” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. <http://www.ajara.gov.ge/eng/index.php?page=show&id=2> 18

<sup>69</sup> ინტერვიუ ხულოს მუფტიატში, 31 ოქტომბერი, 2011 წ.



მიკერძოებულობა რელიგიური ინსტიტუტებისათვის დახმარების გაცემის საქმეში. რელიგიური საკითხების სპეციალისტმა, პროფესორმა გიორგი სანიკიძემ აღნიშნა, რომ “მართლმადიდებლობა ფინანსდება, ისლამი კი არა.” მისი აზრით, სახელმწიფო დაფინანსების პრო-მართლმადიდებლური ტენდენცია განსაკუთრებით თვალშისაცემია ხულოში, სადაც, გარდა ახალი ეკლესიის მშენებლობისა, სახელმწიფო სამღვდლოებისათვის ავტომობილებს ყიდულობს.<sup>70</sup>

ახალი ეკლესიების მშენებლობა და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ინსტიტუტების მართვა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ხელს შეუწყობს მისი ზეგავლენის ზრდას ზემო აჭარაში. ამ ტენდენციას რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილი უარყოფითად არ უყურებს, ვინაიდან, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებული სასწავლო ინსტიტუტები მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ კომპეტენტური პედაგოგებისა და განათლების მაღალი დონის გამო.<sup>71</sup> მიუხედავად ამისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ სასწავლო დაწესებულებებში ყურადღების კონცენტრაცია ხდება ქრისტიანობაზე და საქართველოსა და აჭარის ისტორიის ქრისტიანულ ასპექტებზე, რაც ზემო აჭარის მოსახლეობის ახალგაზრდულ სეგმენტს სარწმუნოების შეცვლისაკენ უბიძგებს. ამას კი შედეგად რეგიონში ისლამური ტრადიციების დაკნინება მოსდევს.

**5.2 სახალხო განათლება ზემო აჭარაში: მართლმადიდებლობის გავრცელების მცდელობა**

ზემო აჭარაში საჯარო რელიგიური იდენტობის ჩამოყალიბებაში დიდ როლს თამაშობს საშუალო სკოლებიც, თუმცა, აშკარად უფრო დაბალანსებული წესით. საჯარო სკოლები ფუნქციონირებს მთელ რეგიონში, სადაც ადგილი აქვს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ და რელიგიურ

დიხოტომიას მოსწავლე-ახალგაზრდობაში, ამიტომ, ამ სკოლებში უფრო ფართო ჭრილში აისახება ზემო აჭარის მოსახლეობის განწყობა. ხულოს რაიონში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია უშუალოდ არ მონაწილეობს საჯარო სკოლების უმეტესობის მართვაში ან სახელმწიფო სასწავლო პროგრამების შედგენაში. ყოველ შემთხვევაში, საჯარო სკოლები ოფიციალურად ნეიტრალურები არიან რელიგიური საკითხების მიმართ, რადგან საქართველოს კონსტიტუციით ეკლესია სახელმწიფოსგან ოფიციალურად არის გამოყოფილი.<sup>72</sup>

ამას გარდა, ხულოს რაიონული ცენტრის, დიდაჭარისა და რიკეთის საშუალო სკოლებში ჩატარებული ინტერვიუები და სადისკუსიო ჯგუფებთან მუშაობის შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი სკოლის მასწავლებლები ერთნაირად უჭერენ მხარს რელიგიურ ტოლერანტობასა და რელიგიური არჩევანის თავისუფლებას. ხულოს რაიონული ცენტრის საშუალო სკოლის დირექტორმა, დიდაჭარელმა მუსლიმმა განაცხადა, რომ მისი დირექტორობის ხუთი წლის მანძილზე, მიუხედავად სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა რელიგიური სხვადასხვაობისა, მას არასოდეს ჰქონია პრობლემები. შესაბამისად, რამდენიმე მასწავლებელმა აღნიშნა, რომ ხშირად მუსლიმ მშობლებს აქვთ როგორც ბიბლია, ისე ყურანი, რათა საშუალება მისცენ საკუთარ შვილებს წაიკითხონ ორივე და თავად გააკეთონ არჩევანი სარწმუნოებასთან დაკავშირებით.<sup>73</sup> სამივე ზემოაღნიშნულ დასახლებაში მასწავლებლები მხარს უჭერენ ახალგაზრდების მიერ სარწმუნოების თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას.

ტოლერანტობისა და ობიექტურობის ეს გრძნობა ნამდვილად გულწრფელია. ეს აჩვენებს ზოგადად პოზიტიურ დამოკიდებულებას რელიგიურ ჯგუფებს შორის ამ რეგიონში, განსაკუთრებით, მოსახლეობის საშუალო ფენაში, რომელიც უფრო ათეისტურად არის განწყობილი. მიუხედავად ამისა, ზემო აჭარაში საშუალო

<sup>70</sup> ინტერვიუ პროფესორ გიორგი სანიკიძესთან, თბილისი, 11 ნოემბერი, 2011 წ.  
<sup>71</sup> ინტერვიუ ხულოში, 12 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>72</sup> საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, მუხლი IX  
<sup>73</sup> ინტერვიუ ხულოს საშუალო სკოლის დირექტორთან, 26 ოქტომბერი, 2011 წ.



სკოლების სასწავლო პროგრამაში მსუბუქად იგრძნობა მართლმადიდებლობისათვის უპირატესობის მინიჭება, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიის სწავლებისას. ამ მოხსენებაში ხემოთ მოცემული სტრუქტურული ფაქტორებიდან გამომდინარე, ეს ტენდენცია გასაკვირი არ არის. ის, რომ 2002 წელს კონკორდატმა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას მიანიჭა მთავარი კონსულტანტის პრივილეგია სახალხო განათლების სასწავლო პროგრამის შედგენის საქმეში, გვიჩვენებს, თუ რატომ აქვს მართლმადიდებლობას უფრო მაღალი რეპუტაცია საჯარო სასწავლებლებში.<sup>74</sup>

მასწავლებელთა უმრავლესობა აღიარებს, რომ მართლმადიდებლობას მართლაც დიდი ადგილი უკავია სასწავლო პროგრამაში, რადგან ისტორიის წიგნებში მოცემული რელიგიური საკითხების უმეტესობა ქრისტიანობას უკავშირდება. შესაბამისად, ხულოელი მასწავლებლები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს სახელმძღვანელოს, რომელშიც აღნიშნულია, რომ წმ. ნინომ ჩვენი წელთაღრიცხვით 332 წელს სოფ. დიდაჭარაში ქრისტიანობა გაავრცელა. სახელმძღვანელოებში მოხსენიებულია ასევე, წმ. ანდრია, რომელიც გადმოცემით ასევე, აქტიური მისიონერი იყო აჭარაში. ამგვარად, ისტორიის სახელმძღვანელოებში ქრისტიანობა მიჩნეულია, როგორც აჭარის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ასპექტი, ხოლო, ისტორიის ერთ-ერთი მასწავლებლის სიტყვებით “საქართველოში ქრისტიანობა აჭარიდან გაავრცელდა.”<sup>75</sup>

<sup>74</sup> ხემო აჭარაში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს რამდენიმე ნათლად განსაზღვრული პრეროგატივა სახალხო განათლებასთან დაკავშირებით. გარდა მართლმადიდებლურ ადმინისტრაციას დაქვემდებარებული ოფიციალური საჯარო სკოლებისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია ხელმძღვანელობს და აფინანსებს გამოცდებისათვის მოსამზადებელ ტრენინგებს საშუალო სკოლის მოსწავლეებისათვის დიდაჭარაში, სხალთაში და ხიჩაურში. ინტერვიუ დიდაჭარის საშუალო სკოლაში, 9 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>75</sup> ინტერვიუ ხულოს საშუალო სკოლაში, 26 ოქტომბერი, 2011 წ. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლებმა დიდაჭარასა (9 დეკემბერი, 2011 წ.) და რიკეთში (12 დეკემბერი, 2011 წ.)

სტუდენტები მხარს უჭერენ ისტორიის სასწავლო პროგრამაში მართლმადიდებლობასთან დაკავშირებული საკითხების შეტანას. ქრისტიანი სტუდენტის, მეთერთმეტეკლასელი გიოს სიტყვებით, მისი კლასის ზოგადი ისტორიის სახელმძღვანელოში ქრისტიანობა მოხსენიებულია, როგორც “ჭეშმარიტი რელიგია.”<sup>76</sup> ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასწავლო პროგრამაში არ არის შეტანილი მასალა სხვა რელიგიებთან დაკავშირებით. სახელმძღვანელოებში განხილულია, ასევე, არამართლმადიდებელი კონფესიები და ტრადიციები. ხულოს საშუალო სკოლის დირექტორის სიტყვებით, სკოლაში ისწავლება ცალკე კურსი “რელიგია და გეოგრაფია”, რომელშიც განხილულია მსოფლიოს სხვადასხვა რელიგიები.<sup>77</sup> მიუხედავად ამისა, ბევრი პედაგოგისა და სტუდენტის აზრით, ქრისტიანობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს აჭარის ისტორიაში.

ამ შეხედულებას განამტკიცებს ის, თუ როგორ უყურებენ პედაგოგები იმ სამ საუკუნეს, როდესაც აჭარა ოტომანთა მმართველობის ქვეშ იყო. ამ პერიოდს ბევრი, მათ შორის მუსლიმთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, გარკვეული სიძულვილით იხსენებს. მუსლიმური რელიგიის ისტორიის მასწავლებელი ასე ხსნის ოტომანთა მმართველობის ქვეშ სარწმუნოების შეცვლის პროცესს:

“არის ასეთი წიგნი, *ვახტანგ ზოიძის* (მგზნებარე მამულიშვილები), რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ჩაჰყავდათ თურქებს ქრისტიანები მდ. ჭოროხისწყალზე, ემუქრებოდნენ ხმლებით და აიძულებდნენ ფეხით გაეთელათ თავიანთი ხატები,

დაადასტურეს ამ ისტორიის სწავლების ფაქტი თავიანთ სკოლებში.

<sup>76</sup> ინტერვიუ ხულოში, 12 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>77</sup> 1990-იან წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში საშუალო სკოლებში გადიოდნენ ასევე სასწავლო კურსს ‘რელიგიური აღზრდა’. მუსლიმთა უმეტესობა ამ კურსს მიიჩნევდა როგორც პროპაგანდას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან, ვინაიდან, ის ეხებოდა მართლმადიდებლობის ამჟამინდელ როლს და მის ადგილს საქართველოს ისტორიაში. დაახლოებით ექვსი წლის წინ ამ კურსის სწავლება შეწყდა. ინტერვიუ აჭარის პარლამენტში, ბათუმი, 5 დეკემბერი, 2011 წ.



წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ყრიდნენ მდინარეში და ეუბნებოდნენ 'გიშველოთ ახლა თქვენმა ქრისტემ'. ქართველები [აჭარლები] მხოლოდ მე-17 საუკუნეში აიძულეს მიეღოთ მუსლიმური სარწმუნოება, რასაც ქართველები, რასაკვირველია, ტკივილით იხსენებენ. ეს მოგონება ჯერ კიდევ შემორჩენილია ქართველების მესხიერებაში და აიძულებს მათ სძულდეთ ეს რელიგია [ისლამი].<sup>78</sup>

არსებობს კიდევ ოტომანთა ბატონობის დროინდელი სხვა ამბები აჭარის წარსულიდან, რომლებიც ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ისწავლება ისტორია და როგორ განიხილება რელიგია. ბევრჯერ იქნა მოხსენიებული შუახვევის რაიონში მდებარე ხიდი, სადაც, გადმოცემით, ოტომანთა მეთაურები სჯიდნენ იმ ქრისტიანებს, რომლებიც უარს ამბობდნენ მიეღოთ ისლამი.<sup>79</sup> ბევრი პედაგოგი ამბობდა ასევე იმას, რომ მასიურად გამუსლიმანების მიუხედავად, აჭარლები დაფარულად მაინც ინახავდნენ ქრისტიანულ ტრადიციებს. ამის მაგალითია მჭადი, რომელზედაც ცხოვის დროს ხელით ჯვარს გამოსახავდნენ ხოლმე "ეს იმიტომ, რომ არ დაგვევიწყებინა ჩვენი ქრისტიანული წარსული." კიდევ ერთი მტკიცებულება არის ის, რომ ხულოში დღეისათვის არსებული მეჩეთი თავდაპირველად, ოტომანთა შემოსევამდე, ეკლესია იყო და იმიტომ, ჯვრის ფორმა აქვს შენარჩუნებული.<sup>80</sup>

ეჭვგარეშეა, რომ ზემო აჭარის საშუალო სკოლებში რელიგიური საგნები უფრო დაბალანსებული ფორმით ისწავლება.

<sup>78</sup> მასწავლებლების ფოკუს-ჯგუფი ხულოს საშუალო სკოლაში, 26 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>79</sup> მასწავლებლების ფოკუს-ჯგუფი ხულოს საშუალო სკოლაში, 27 ოქტომბერი, 2011 წ. ამბობენ, რომ ამ ადგილზე, იმდენი ქრისტიანი იქნა დასჯილი, რომ "მდინარე წითლად იყო შეღებილი სისხლისგან". კვლევის პროცესში არანაირი წერილობითი საბუთი ან მითითება ამ ფაქტთან დაკავშირებით არ იქნა აღმოჩენილი.

<sup>80</sup> ეს კონკრეტული ამბავი არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს, რადგან ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ნაგებობა უნდა მიეკუთვნებოდეს მე-17 საუკუნეს ან უფრო ადრეულ ხანას. მეჩეთის ნებისმიერ სტუმარს შეუძლია შენიშნოს, რომ ის ასე ძველი არ არის. რელიგიის ექსპერტის რუსლან ბარამიდის (ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) აზრით ნაგებობა აშენებულია 1829 წელს.

უფრო მეტიც, ხულოს საშუალო სკოლაში, სადაც რელიგიური სხვადასხვაობა სავარაუდოდ, ყველაზე დიდია ზემო აჭარის სხვა რაიონებთან შედარებით, მუსლიმებსა და ქრისტიანებს კარგი ურთიერთობა აქვთ. მიუხედავად ამისა, ისტორიის სწავლებისას მაინც შეიმჩნევა მცირე მიკერძოება ქრისტიანობის სასარგებლოდ. ქრისტიანობა ხშირად მოიხსენიება როგორც აჭარის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ისლამის ისტორია რეგიონში კი, ასოცირდება ოტომან დამპყრობლებთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიული ელემენტები სიმართლეს შეიცავს, მათი გადმოცემის მანერა განსჯის საკითხია. ამგვარად, ქრისტიანობისათვის წამყვანი როლის მინიჭებითა და ამავე დროს, აჭარაში ისლამის ისტორიის თურქეთის მმართველობასთან დაკავშირებით, საჯარო სკოლების სასწავლო გეგმა ფაქტობრივად, შესაძლოა, იდეოლოგიურ საფუძველს აძლევს ზემო აჭარის მოსახლეობის ახალგაზრდულ სეგმენტს, მიიღონ ქრისტიანული სარწმუნოება.

### 5.3 ადგილობრივი მეჩეთები, მადრასაჰები და დამოუკიდებელი მუსლიმური ორგანიზაციები

მეჩეთები, მადრასაჰები და დამოუკიდებელი მუსლიმური ორგანიზაციები წარმოადგენს მესამე ინსტიტუციურ კატეგორიას, რომელიც ზეგავლენას ახდენს რელიგიურ იდენტობაზე ზემო აჭარაში. ამ მოხსენებაში აქამდე ყურადღება გამახვილებული იყო მართლმადიდებლურ და საჯარო სასწავლო ინსტიტუტებზე. თუმცა, დიდი შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ისლამური ორგანიზაციები უქმად არიან ზემო აჭარაში.

მოსკოვის ძალაუფლების შესუსტებამ მოკავშირე რესპუბლიკებზე, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ერთად სტიმული მისცა ასევე, მუსლიმთა მობილიზაციას ზემო აჭარაში. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მაღალჩინოსნები თავიდან ნაკლებად უჭერდნენ მხარს მუსლიმური ორგანიზაციების აღდგენას, 1991 წელს აჭარის მთავრობის სათავეში ასლან აბაშიძის მოსვლამ ხელი შეუწყო მთავრობისა და ისლამის ურთიერთობების საბოლოოდ



დარეგულირებას<sup>81</sup> და რეგიონში მუსლიმური ორგანიზაციების დაფუძნებას.<sup>82</sup> გაიხსნა ახალი მეჩეთები, შეიქმნა ახალი რელიგიური ორგანიზაციები, მყარდებოდა ახალი კონტაქტები თურქეთისა და არაბული სამყაროს ისლამურ ორგანიზაციებთან.<sup>83</sup> მაგრამ, აჭარის მუსლიმებს შორის არსებული განხეთქილების გამო, ისლამური საქმიანობა ასიმეტრიული და არაკოორდინირებული იყო.

2010 წელს ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტმა გამოაქვეყნა რელიგიური ინსტიტუტების აღწერის შედეგები, რომლის მიხედვითაც ამჟამად აჭარაში არის 184 მოქმედი მუსლიმური ნაგებობა, რომელთაგან 119 მეჩეთია (51 მათგანთან ფუნქციონირებს *მადრასაჰი*, აქედან ცხრაში სადღეღამისო სკოლებია), 22 სეზონური მეჩეთი, 19 *მადრასაჰი* ცალკე ნაგებობაში, 15 სალოცავი (ე.ი. მეჩეთები, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი არქიტექტურული/სიმბოლური კომპონენტები), რვა *მადრასაჰი-სადღეღამისო სკოლა* და ერთი სალოცავი სახლი-*მადრასაჰი*. ხულო ამაყობს ყველაზე მეტი მოქმედი რელიგიური ნაგებობით (77), ვიდრე სხვა რომელიმე რაიონი აჭარაში, მას მოყვება შუახევი (46), ქედა (20), ხელვაჩაური (17) და ქობულეთი (17).<sup>84</sup>

შესაბამისად, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში რეგიონში გაიზარდა რელიგიური განათლების მიღების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმური განათლება ზემო აჭარაში არასოდეს ყოფილა მუსლიმური ცხოვრების

<sup>81</sup> ინტერვიუ რელიგიის ექსპერტ ლევან აბაშიძესთან, თბილისი, 29 ნოემბერი, 2011 წ.

<sup>82</sup> მუსლიმან აჭარელ დიდგვაროვანთა შთამომავალმა აბაშიძემ 1990-იანი წლების ბოლოს ძალაუფლების შესანარჩუნებლად ალიანსში შევიდა ზემო აჭარელ მუსლიმ ლიდერებთან და აჭარა თავის საკუთრებად აქცია. ამავდროულად, საჯაროდ ის პატივისცემას გამოხატავდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ, თუმცა მინიმალურ ყურადღებას აქცევდა მის ფუნქციონირებას რეგიონში.

<sup>83</sup> იხ. Pelkmans (2006) for a detailed overview of Muslim mobilization in the 1990s.

<sup>84</sup> რუსლან ბარამიძე, “მოქმედი მუსლიმური რელიგიური და სასწავლო ნაგებობები - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა,” ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, 2010 წ.

ტრადიციული ნაწილი.<sup>85</sup> რეგიონში არსებულ ბევრ მეჩეთთან ფუნქციონირებს *მადრასაჰი*, რომელიც ჩვეულებრივ წარმოადგენს ცალკე სასწავლო ოთახს მეჩეთში, სადაც ინახება რელიგიური ტექსტები და სასწავლო მასალები. ეს *მადრასაჰები* მუსლიმურ განათლებას სთავაზობენ ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც შაბათ-კვირას შეუძლიათ ნებაყოფლობით დაესწრონ გაკვეთილებს.<sup>86</sup> ხულოს რაიონის დასავლეთ ნაწილში მდებარე სოფ. ღორჯომში განსაკუთრებით ბევრი მეჩეთი და *მადრასაჰი* მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით.

რელიგიური განათლების საქმეში უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს სადღეღამისო სკოლა-*მადრასაჰები*, რომელთაგან ორი მდებარეობს ხულოს რაიონულ ცენტრში და დაახლოებით ოთხი, ხულოს რაიონის დანარჩენ ნაწილში (ღორჯომში, ბელეთში, სხალთაში და ხიხაძირში).<sup>87</sup> თითოეულ სკოლაში, რომლებსაც თურქეთიდან მიღებული ფინანსებით დახმარებას უწევენ ისლამური საქველმოქმედო ორგანიზაციები, გამოყოფილია უფასო საცხოვრებელი ადგილი და საკვები 30-50 სტუდენტისათვის, რომელთაგან თითქმის ყველა, ზემო აჭარის სოფლების დარბი ოჯახებიდანაა. ისლამური სკოლები არ მოიაზრება როგორც სახალხო განათლების შემცველი, რადგან ყველა სტუდენტი ამავე დროს არის საჯარო საშუალო სკოლის მოსწავლე. ყოველდღიურად, საშუალო სკოლაში გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები აგრძელებენ *მადრასაჰი* რელიგიური განათლების მიღებას, სადაც ზოგიერთ შერჩეულ არარელიგიურ საგანსაც ასწავლიან.<sup>88</sup> ვინაიდან ამგვარი სკოლები არ

<sup>85</sup> ოტომანთა მმართველობის დროსაც რელიგიური განათლების მისაღებად ინსტიტუტების მცირე რაოდენობა იხსნებოდა. მეტწილად, აჭარლები რელიგიის შესასწავლად და ტრეინინგისათვის სტამბოლში მიემგზავრებოდნენ. ინტერვიუ აჭარის პარლამენტში, ბათუმი, 5 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>86</sup> ინტერვიუ მუფთი ასლან აბაშიძესთან, დუაძეები, 31 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>87</sup> ინტერვიუ მუფთი ასლან აბაშიძესთან, ხულო, 8 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>88</sup> ხულოს მუსლიმური სკოლა-ინტერნატების რეგიონული დირექტორის სიტყვებით, ყოველდღიურად სტუდენტები საათნახვერის განმავლობაში მეცადინეობენ რელიგიაში და



არის სახელმწიფო დაფინანსებაზე და არც ოფიციალურად არის რეგისტრირებული, როგორც სასწავლო დაწესებულება, ამ დროისათვის არ არსებობს მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს სწავლების შინაარსს ან ხარისხს.<sup>89</sup>

რაც შეეხება მუსლიმანობასთან დაკავშირებული საქმეების მართვას, აჭარაში ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება რეგიონულ მუფტიატს ან სასულიერო საქმეების საბჭოს ბათუმში. აჭარის მუფტიატს, რომელსაც ხელმძღვანელობს აჭარისა და ზოგადად საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის მუფთი ჯემალ პაქსაძე, ეკისრება რელიგიური და ზოგადად, რელიგიური მნიშვნელობის პრობლემების მოგვარება რეგიონში. ასეთივე ადმინისტრაციული სტრუქტურა ფუნქციონირებს რაიონულ დონეზე. აჭარის თითოეულ რაიონს აქვს საკუთარი მუფტიატი და ჰყავს მუფთი, რომელსაც ევალება რაიონულ იმამებთან დაკავშირება, რომლებიც ლოცულობენ სხვადასხვა ინდივიდუალურ მეჩეთებში. თავის მხრივ, რაიონული მუფთები თავიანთი ზედამხედველობის ქვეშ არსებული ზონებიდან აწვდიან რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ინფორმაციას ბათუმის მუფტიატს.

მიუხედავად ამისა, ურთიერთობა ოფიციალურ მუფტიატსა და რაიონულ მუფტიატებს შორის ყოველთვის არ არის სანიმუშო. კერძოდ, აჭარის რაიონების ზოგიერთი მუსლიმი ლიდერის აზრით ბათუმის ოფიციალურ მუფტიატს ახლო ურთიერთობა აქვს მთავრობასთან, რის გამოც ის არ არის ნეიტრალური რელიგიურ საკითხებში.<sup>90</sup> ბათუმის ოფიციალურ მუფტიატსა და რაიონების მუსლიმურ ადმინისტრაციებს შორის არ არსებობს კოორდინაცია და კავშირები. უფუნქციო

ადმინისტრაციული სიტუაციის გამო, აჭარაში არსებული ადგილობრივი მუსლიმური ინსტიტუტების საყრდენს წარმოადგენს რეგიონში მოქმედი დამოუკიდებელი საქველმოქმედო მუსლიმური ორგანიზაციები. ამ ორგანიზაციებს შორისაა 'ქართველი ახალგაზრდების დახმარების ასოციაცია', მაღლი-2005, 'თეოლოგთა კავშირი', 'ყურანის ქართულად თარგმნისა და მეცნიერული კვლევის ასოციაცია', 'ქართველ მუსლიმთა კავშირი' და 'საქართველო-თურქეთის მეგობრობის ასოციაცია'. იმის გამო, რომ მთავრობა არ აფინანსებს თითქმის არცერთ მუსლიმურ ინსტიტუტს, ამგვარი ორგანიზაციები მთავარ როლს თამაშობენ მეჩეთებისა და *მადრასაჰების* ფუნქციონირებაში. მუსლიმურ ორგანიზაციებს და მეჩეთებს, *მადრასაჰებსა* და რაიონულ მუფტიატებს შორის პარტნიორობის შედეგად ხდება მეჩეთების მშენებლობისა და რესტავრაციის დაფინანსება, მუსლიმური სადღეღამისო სკოლების ფუნქციონირება და მთავარი ისლამური დღესასწაულების დროს საკვების უზრუნველყოფა.<sup>91</sup>

ისლამური ორგანიზაციებიდან, ყველას არა აქვს შესანიშნავი ურთიერთობა ოფიციალურ მუფტიატთან. როგორც ბევრი ადგილობრივი ისლამური ინსტიტუტი აჭარის რაიონებში, ზოგიერთი ეს ორგანიზაცია მუფტიატს მთავრობის ნაწილად მიიჩნევს.<sup>92</sup> ასევე, ხშირად შეუთანხმებლობაა თვით ამ ისლამურ ორგანიზაციებს შორის, რაც უმთავრესად გამოწვეულია განსხვავებული თეოლოგიური შეხედულებებით. აჭარის მთავრობის ერთერთი მაღალჩინოსნის სიტყვებით, ამგვარი თეოლოგიური უთანხმოება საზიანოა, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს გამოიწვევს განხეთქილებას აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში. აქედან გამომდინარე, ისლამური ორგანიზაციები თითქმის არ თანამშრომლობენ ურთიერთ შორის მთავარი რელიგიური დღესასწაულების დროს, თითოეული მათგანი აწყობს საკუთარ

“ყურადღებას ამახვილებენ მუჰამედის ცხოვრებაზე, მუსლიმთა მდგომარეობაზე ადრეულ ხანაში და იმაზე, თუ რა როლის თამაში შეუძლია ისლამს მათ მომავალ ცხოვრებაში.” მოკლედ ისწავლება ქრისტიანობაც. გარდა ამისა, ამ სკოლებში შერჩევით ასწავლიან ასევე არარელიგიურ საგნებს და ამზადებენ მოსწავლეებს გამოცდების ჩასაბარებლად. ინტერვიუ ხულოს მუფტიატში, 28 ოქტომბერი, 2011.

<sup>89</sup> ინტერვიუ პროფესორ რუსლან ბარამიძესთან, ბათუმში, 6 დეკემბერი, 2011.

<sup>90</sup> იქვე.

<sup>91</sup> ორგანიზაცია მაღლი-2005, მაგალითად, პასუხისმგებელია ექვსი სკოლა-ინტერნატის - *მადრასაჰის* ხელმძღვანელობაზე ხულოს რაიონში.

<sup>92</sup> ამ ტენდენციას გამოჩვენებენ იქვე. ოფიციალურ მუფტიატს კარგი ურთიერთობა აქვს 'ქართველი ახალგაზრდების დახმარების ასოციაციასთან' და ამ ორ უწყებას საერთო თანამშრომლებიც კი ჰყავს.



დღესასწაულს და თითქმის არა აქვს ურთიერთობა სხვა ორგანიზაციებთან.<sup>93</sup>

იმის გამო, რომ აჭარაში არსებულ ისლამურ ინსტიტუტებს და ორგანიზაციებს სახელმწიფო არ აფინანსებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარედან მიღებულ დახმარებას. მუსლიმური ორგანიზაციების და ადგილობრივი მუსლიმური ინსტიტუტების ფუნქციონირების დაფინანსებაში მთავარ როლს თურქეთი თამაშობს. მაგალითად, თითოეულ ქართულ მუსლიმურ ორგანიზაციას კავშირი აქვს თურქეთის რელიგიურ ფოდთან, საიდანაც ისინი იღებენ ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას.<sup>94</sup> აჭარის მუსლიმ მოსახლეობას დახმარებას უწევს ასევე, თურქეთის ყველაზე მეტად ავტორიტეტული ოფიციალური ორგანო *Diyanet İşleri Başkanlığı* (რელიგიური საქმეების უზენაესი ორგანო). სახელდობრ, *Diyanet*-ი თანამშრომლობს რეგიონის სასულიერო საბჭოსთან და ესმარება ახალგაზრდა აჭარელ მუსლიმებს რელიგია თურქეთში შეისწავლონ.<sup>95</sup> გარდა ამისა, თურქეთის კერძო მოქალაქეები, ხშირად თურქეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველები, მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევენ აჭარის მუსლიმურ ინსტიტუტებსა და

<sup>93</sup> ინტერვიუ აჭარის პარლამენტში, ბათუმი, 5 დეკემბერი, 2011.

<sup>94</sup> ინტერვიუ პროფესორ რუსლან ბარამიძესთან, ბათუმი, 6 დეკემბერი, 2011.

<sup>95</sup> *Diyanet*-ი პასუხისმგებელია მოიწვიოს ევრაზიის ისლამური საბჭო (EIC), რომელიც შეიქმნა 1995 წელს იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს თანამშრომლობას სასულიერო საბჭოებს შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის და ყოფილი იუგოსლავიის მუსლიმურ ზონებში. მაგალითად, მე-7 EIC-მ მიიღო რეზოლუცია ეთარგმნა და გამოექვეყნებინა ისლამური ლიტერატურა სხვადასხვა ენებზე. 2008 წელს *Diyanet* -მა ქართულ ენაზე გამოაქვეყნა ბუკლეტის ექვსი ათასი ეგზემპლარი სახელწოდებით “მე ვსწავლობ ჩემს რელიგიას”, რასაც მოჰყვა სხვა ბუკლეტებიც - “მე ვსწავლობ ჩემს ყურანს” და “მე ვსწავლობ ჩემი მოციქულის ცხოვრებას.” *Diyanet* -მა დიდი როლი ითამაშა მუსლიმთა განათლების საქმეში. 2008 წელს ამ ორგანიზაციამ გასცა 139 სტიპენდია ქართველ მუსლიმებზე, რათა ისინი დასწრებოდნენ “ყურანის კურსებს” თურქეთში. Şenol Korkut, “The Diyanet of Turkey and Its Activities in Eurasia after the Cold War,” in *Acta Slavica Iaponica*, Tomus 28 (2009), pp. 125-126; pp. 132-133.

ორგანიზაციებს კერძო შემოწირულობების სახით.<sup>96 97</sup>

თურქეთი აჭარის რელიგიურ საკითხებზე არაპირდაპირ ზეგავლენას ახდენს ასევე, განათლებასთან დაკავშირებული მიგრაციული სქემებითაც. ეს პროგრამა ითვალისწინებს აჭარელი ახალგაზრდების თურქეთის ქალაქებში დროებით ცხოვრებას, როგორც რელიგიური, ისე არარელიგიური უმაღლესი განათლების მიღების მიზნით. აჭარელი მუსლიმი ლიდერების უმრავლესობა რელიგიურ ცოდნას იღრმავებს თურქეთის მუსლიმურ ინსტიტუტებში.<sup>98</sup> აჭარის მუსლიმი მოსახლეობის ახალგაზრდა, უფრო რელიგიურ სეგმენტში პოპულარულია ე.წ. “ყურანის კურსები”.<sup>99</sup> იმის გამო, რომ თურქეთში განათლება უფასოა, ბევრი აჭარელი სტუდენტი არარელიგიური საგნების შესწავლასაც თურქეთში არჩევს. მიუხედავად ამ ტიპის განათლების არარელიგიური ხასიათისა, ხშირად აჭარელ სტუდენტებს თურქეთში უძლიერდებათ მუსლიმური იდენტობის გრძნობა, რომელიც მათ საბოლოოდ საქართველოში მოჰყვებათ.<sup>100</sup>

ისლამის აღორძინება ზემო აჭარაში მიმდინარეობდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოვების პარალელურად. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ადგილობრივი ისლამური

<sup>96</sup> თურქული ორგანიზაციებისა და კერძო დონორების მიერ დაფინანსების ფაქტი კარგად არის ცნობილი, თუმცა, იმის გამო, რომ ეს პროცესი გამჭვირვალე არ არის, ძნელია იმის დადგენა, თუ რა ოდენობის ფინანსურ დახმარებას აქვს ადგილი. ინტერვიუ პროფესორ გიორგი სანიკიძესთან, თბილისი, 11 ნოემბერი, 2011 წ.

<sup>97</sup> ზემო აჭარაში ბევრ ახალ და აღდგენილ მეჩეთზე გამოკრულია აბრები, რომლებზეც მითითებულია თურქეთში მცხოვრები კერძო დონორების ვინაობა. მაგალითად, დიდაჭარის, ისტორიულ ახლად აღდგენილ მეჩეთზე გამოკრულია აბრა, რომელზედაც როგორც ქართულად, ისე თურქულად წერია: “გაიხსნა ღვთისმსახურებისათვის 2002 წელს ძმების - სამსუნ ბათრალი აიღინის და აჰმედ კარაჰმეტო-გუნარის მიერ”.

<sup>98</sup> ინტერვიუ მუფთი ჯემალ პაქსაძესთან, ბათუმი, 13 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>99</sup> ინტერვიუ პროფესორ რუსლან ბარამიძესთან, ბათუმი, 6 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>100</sup> ინტერვიუ პროფესორ გიორგი სანიკიძესთან, თბილისი, 11 ნოემბერი, 2011 წ.





ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების რაოდენობა გაიზარდა და ამასთან, რასაკვირველია, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უფრო რელიგიური გახდა. თუმცა, ამ პროცესების არათანაბარ განვითარებას მოჰყვა განხეთქილება აჭარის მუსლიმურ საზოგადოებაში კერძოდ, ოფიციალურ მუფტიატსა და ადგილობრივ ისლამურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს, ასევე, თვით დამოუკიდებელ ორგანიზაციებს შორის, რამაც მეტი გასაქანი მისცა მოქმედებისათვის უცხოელ დამფინანსებლებს, განსაკუთრებით, თურქეთის რელიგიურ ორგანიზაციებს.

ამავდროულად, ბევრი აჭარელი მუსლიმი გრძნობს, რომ სახელმწიფო ტრადიციულ დახმარებას აღარ უწევს მუსლიმურ ინსტიტუტებს, რაც მიანიშნებს სახელმწიფოს მიერ ისლამის დისკრიმინაციაზე. როგორც ეს აღწერილია მომდევნო ნაწილში, საქართველოს მთავრობამ ახლახანს მიიღო მთელი რიგი ცალმხრივი გადაწყვეტილებებისა ეროვნული უმცირესობების რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით. ამ გადაწყვეტილებების მიზანს სავარაუდოდ, აჭარის მუსლიმი მოსახლეობისა და სხვა რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების პრობლემების მოგვარება წარმოადგენს.

## VI. მუსლიმთა სოციალური გარიყულობის შეგრძნება და ზეწოლა სამოქალაქო ინტეგრაციისათვის

ნაციონალისტური მოწოდებები, მართლმადიდებლობისთვის უპირატესობის მინიჭება საჯარო სასწავლებლების ისტორიის სასწავლო პროგრამაში და სახელმწიფოს მიერ მართლმადიდებლური ეკლესიის მფარველობა პოსტ-საბჭოთა საქართველოში გარკვეული პრობლემების წინაშე აყენებს აჭარის მუსლიმურ საზოგადოებას. სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებს შორის რეგიონში კარგი ურთიერთობაა და აჭარლები არასდროს ამჟღავნებენ ანტიპათიას სხვა რელიგიური ტრადიციების მქონე თავიანთი მეზობლებისადმი. თუმცა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ არსებობს დისკრიმინაციის შეგრძნება რეგიონის მუსლიმ ლიდერებსა და

მუსლიმი მოსახლეობის უფრო ღრმად რელიგიურ ნაწილში (ე.ი. არა საშუალო ფენაში).

ბევრი, ღრმად მორწმუნე მუსლიმი აჭარაში, შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ქართულ ნაციონალურ იდენტობაში მთავარ როლს მართლმადიდებლობა თამაშობს, თუმცა, ქართველი მუსლიმები ისეთივე მხურვალე პატრიოტები არიან, როგორც მათი ქრისტიანი თანამემამულენი. ყველა ქართველი მუსლიმი ინტერვიუში ამჟღავნებდა ერთგულებას ქართველი ერის მიმართ და მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ისლამური რწმენა ხელს არ უშლიდა მათ, დაეცვათ ეროვნული ინტერესები. ერთმა ცნობილმა მუსლიმმა ლიდერმა ინტერვიუში თქვა “ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი სახელმწიფო [საქართველო] იყოს ძლიერი, ჩვენ მოგვწონს დემოკრატიული კანონები. ჩვენი ქვეყანა ისწრაფვის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისაკენ და ჩვენ, მუსლიმები, მხარს ვუჭერთ მას.”<sup>101</sup>

ECMI-ს ინტერვიუებიდან დაგროვილი ინფორმაციიდან ჩანს, რომ ზოგიერთ მუსლიმს აქვს მსუბუქად გამოხატული სოციალური გარიყულობის შეგრძნება საქართველოს ნაციონალისტური პოლიტიკის გამო. ქართველი მუფთი ჯემალ პაქსაძე ამას შემდეგნაირად აღწერს:

“უწინ მთავრობა არასდროს ატარებდა კონსულტაციებს მუსლიმებთან რელიგიისა და ეროვნული იდენტობის საკითხებზე. ამის გამო, მუსლიმებს ნამდვილად არ ჰქონდათ შესაძლებლობა, დაემყარებინათ ურთიერთობა მთავრობასთან ან დაეარსებინათ რელიგიური სწავლების ფაკულტეტები. ჩვენ არ გვინდა, რომ მთავრობამ ჩვენი რელიგია პედესტალზე შემოდოს, უბრალოდ, ჩვენ გვინდა თანასწორობა [ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიასთან]. ქართველი მუსლიმებიც იღებენ მსხვერპლს ქართული სახელმწიფოსათვის. მაგალითად, ბევრი მუსლიმი მსახურობს არმიაში, მაგრამ ასეთ ფაქტებს ხშირად ყურადღებას არ აქცევენ.”<sup>102</sup>

ამგვარად, მუსლიმებს შორის არსებობს აზრი, რომ ბევრი ქრისტიანი

<sup>101</sup> ინტერვიუ მუფთი ასლან აბაშიძესთან, ხულო, 31 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>102</sup> ინტერვიუ მუფთი ჯემალ პაქსაძესთან, ბათუმი, 13 დეკემბერი, 2011 წ.



ქართველი არ თვლის მათ თანამედროვე ქართული სახელმწიფოს კანონიერ წევრებად.

მუსლიმთა აზრი სოციალურ გარიყულობასთან მიმართებაში სხვა კონტექსტებიდანაც კარგად ჩანს. განსაკუთრებით, ნათლად არის ეს გამოხატული სახელმწიფოს დაუინტერესებლობაში, თუ რა მდგომარეობაშია და როგორ ფუნქციონირებს მუსლიმური ინსტიტუტები. განსხვავებით აჭარაში არსებული ქართული მართლმადიდებლური ინსტიტუტებისა, მუსლიმური ინსტიტუტები, გარდა ბათუმის მეჩეთისა, რომელზეც ქვემოთ იქნება საუბარი, არ ღებულობენ სახელმწიფო დაფინანსებას რემონტის, მშენებლობის თუ განათლებისათვის. ამის ნაცვლად, მუსლიმური ინსტიტუტები მთლიანად არიან დამოკიდებული შემოწირულობებსა და თურქეთიდან მიღებულ დაფინანსებაზე. თუმცა, მისი ოდენობა ვერ შეედრება იმ დაფინანსებას, რომელსაც ღებულობს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.<sup>103</sup>

ზემო აჭარაში მცხოვრებ ბევრ მუსლიმს სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციასთან დაკავშირებით აზრი განუმტკიცა 2010 წლის დასაწყისში მომხდარმა ინციდენტმა, რომელიც უკავშირდება მუსლიმურ საქველმოქმედო ფონდს 'მადლი-2005'-ს ხულოს რაიონში. თბილისის 'ადამიანის უფლებათა ცენტრის' (Human Rights Centre) ანგარიშის მიხედვით, ხულოს რაიონულ ცენტრში არსებული რელიგიური სკოლა, რომელიც ფუნქციონირებდა 'მადლი-2005'-ის დახმარებით, დაიხურა ადგილობრივი

ხელისუფლების ორგანოების მიერ, მას შემდეგ, რაც ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ გამოაქვეყნა განაჩენი, რომლის თანახმადაც 'მადლი-2005' არ იხდიდა სკოლაზე დაკისრებულ გადასახადებს და დამნაშავე იყო ქონების 'ყალბი მფლობელობისათვის'.<sup>104</sup> 2010 წელს გადასახადების გადაუხდელობისთვის დააპატიმრეს ფონდის ხელმძღვანელი და დირექტორთა საბჭოს წევრი შოთა გაბაიძე. შაბოლოდ, ის მაინც გაათავისუფლეს თავდებით, თუმცა, აიძულეს გადაეხადა ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით და გადაეცა 'მადლი-2005'-ის შენობა სახელმწიფოსთვის.<sup>105</sup>

<sup>104</sup> ამ ანგარიშის მიხედვით 'ყალბი მფლობელობა' ეხება ფაქტს, როდესაც ხდება პირის, როგორც ქონების მფლობელის რეგისტრაცია, თუმცა, რეალურად ქონების მფლობელი არის სხვა პირი ან ორგანიზაცია. ამ შეთხვევაში ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მტკიცებით მადლი-2005 იყო იმ შენობების მფლობელი, რომლებშიც მისი სკოლები ფუნქციონირებდა, თუმცა, ფაქტობრივად, მთელი ეს ქონება დარეგისტრირებული იყო კერძო პირის, სოფ. ბედლეთის მცხოვრებ ჯუმბერ კახაძის სახელზე.

უფრო შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ 'საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ' დაადასტურა კახაძის მფლობელობის ფაქტი ხულოში არსებულ ქონებაზე, რომელიც უკვე იყო იჯარით გადაცემული მადლი-2005 -სათვის ათწლიანი ვადით. აჭარის აღმასრულებელმა ბიურომ მოსთხოვა საჯარო რეესტრს ამონაწერი აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად მოთხოვნაზე მათ უარი მიიღეს, საბოლოო ჯამში კი, 2010 წლის 10 ივნისს მან გასცა ეს ამონაწერი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ქონება დარეგისტრირებული იყო როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრება. ამონაწერის მიხედვით ამის სამართლებრივ საფუძველად ითვლებოდა "საქართველოს მთავრობის დადგენილება №495 24.04.2010", თუმცა, ამონაწერის გაცემის მომენტისათვის, 2010 წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობას ამოქმედებული ჰქონდა მხოლოდ 165 დადგენილება. ამგვარად, აღნიშნული ამონაწერი გაიცა მთავრობის წევრთა განკარგულებით და არა №495 დადგენილების საფუძველზე.

<sup>105</sup> ფაქტობრივად, ეს იყო სამართლებრივად დაუსაბუთებელი, რადგან ამ ორგანიზაციის საბჭოს დანარჩენ წევრებს ხელი უნდა მოეწერათ ხელშეკრულებაზე ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე. მადლი-2005 და ოპონენტები ამტკიცებენ, რომ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა უკანონო იყო პირველ რიგში იმიტომ,

<sup>103</sup> ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მრავალსმთქმელია შუახევის მუფტიატის შემთხვევა. მუფტიატი მდებრეობს სოფ. ხიჩაურში, ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტის მომიჯნავედ. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ უნივერსიტეტს უკავია ძვირადღირებული და კარგად დაცული ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორია, რომელიც ეკლესიას სახელმწიფომ გადასცა, ხოლო, მუფტიატი განთავსებულია ყოფილი სატელევიზიო სადგურის პატარა შენობაში. მუფტიატის ამჟამინდელი შენობა 2010 წელს იყიდა მუსლიმთა სამმართველომ სახელმწიფო აუქციონზე. ინტერვიუ შუახევის რაიონის მუფთისთან, ბათუმი, 10 დეკემბერი, 2011 წ.



ამის შემდეგ, მალევე, 2010 წელს ადგილობრივმა ხელისუფლებამ სკოლის დახურვა მოინდომა.<sup>106</sup>

ხულოს რაიონულ ცენტრში 'მადლი-2005'-ის სკოლის დახურვის მცდელობას ადგილობრივი მუსლიმების პროტესტის რამდენიმე ტალღა მოჰყვა. მეორე საპროტესტო აქციას ესწრებოდნენ დამოუკიდებელი სატელევიზიო სადგურის TV25-ის ჟურნალისტები, რომლებიც ინტერვიუს იღებდნენ მომიტინგეებისა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებისგან. TV25-ის

ჟურნალისტებთან ინტერვიუში ერთმა ხანდაზმულმა ქალმა განაცხადა, "ჩვენ ყველა ქართველები ვართ, მუსლიმი იქნება ეს თუ ქრისტიანი. ჩვენ არ გვინდა ამ სკოლის დახურვა; ჩვენ გვინდა ის შემოვუნახოთ ჩვენს შვილებს. ყველას შეუძლია ილოცოს იქ სადაც სურს, აქ ეკლესიებიც არის და მეჩეთებიც. ჩვენ არავის ვაწუხებთ და ნურც ჩვენ შეგვაწუხებს ნურავინ." ამ სკოლის დადებით სოციალურ როლს ხაზს უსვამდნენ ასევე, მომიტინგეებიც. სხვა ქალის სიტყვებით, "ეს არის შესანიშნავი სკოლა, სადაც ღარიბ ბავშვებს აცმევენ, აჭმევენ და ასწავლიან. ისინი მათ თავაზიან, კეთილ ადამიანებად ზრდიან, რათა ქუჩაში გასულები ბანდიტებად არ იქცნენ." ერთ მოხუცი კაცის აზრით, სკოლის მოსწავლეები "აქ სწავლობენ პატიოსნებასა და სიკეთეს. დიახ, ისინი სწავლობენ რელიგიას, რომელიც შეიცავს ამ კომპონენტებს."<sup>107</sup>

გაბაიძის მიერ შენობის მთავრობისათვის გადაცემის შემდეგ ხელისუფლებამ თავიდან განიზრახა დაეარსებინა 'ახალგაზრდობის ცენტრი'

რომ ნაგებობა ტექნიკურად ეკუთვნოდა კერძო მოქალაქეს და არა საქველმოქმედო ორგანიზაციას. რაც შეეხება გადასახადებს, ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებულმა პირებმა ECMI-ს უთხრეს, რომ მადლი-2005 არ უნდა ყოფილიყო დაქვემდებარებული გადასახადების გადახდას, რადგან ის ფუნქციონირებდა მხოლოდ საქველმოქმედო შემოწირულობების საფუძველზე.

<sup>106</sup> "Muslim Protest," in *Religions in Georgia*, the Human Rights Center (HRIDC), 16 February 2011 <http://religiebi.info/index.php?a=main&pid=17&lang=eng>.

<sup>107</sup> *P'rot'est'i khuloshi*, TV 25, 31 July 2010, <http://www.youtube.com/watch?v=yXA7ATqaYVw>

სკოლაში,<sup>108</sup> რასაც მძაფრი რეაქცია მოჰყვა ადგილობრივი მუსლიმების მხრიდან. მთავრობა ნაწილობრივ დათმობაზე წავიდა და შენობა დაქვემდებარებაში გადასცა აჭარის მუფტიატს ბათუმში. ამჟამად, შენობა კვლავ ფუნქციონირებს და 'მადლი-2005' კვლავ ატარებს იქ რელიგიის გაკვეთილებს.

'მადლი-2005'-ის ინციდენტმა ბევრი კუთხით გარდატეხა შეიტანა სახელმწიფოსა და მუსლიმთა ურთიერთობაში ზემო აჭარაში, რადგან ამ მასშტაბის ვნებათა დელვის საჯაროდ გამოხატულებას 1990-იანი წლების შემდეგ იშვიათად თუ ჰქონია ადგილი. ეს ეპიზოდი მნიშვნელოვანი იყო იმიტომაც, რომ ის მოხდა მაშინ, როცა საქართველოს მთავრობას არ უნდა ჰქონოდა ამგვარი, პოტენციურად ფეთქებადი მდგომარეობა საზოგადოებასთან ურთიერთობაში. კონკრეტულად, ხელისუფლების ქმედება წინააღმდეგობაში იყო სამოქალაქო ინტეგრაციის ოფიციალურ პოლიტიკასთან, რომელსაც საქართველოს მთავრობა ახორციელებდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, რათა განემტკიცებინა ურთიერთობები დასავლეთთან და მოემზადებინა საქართველო ევროკავშირის შესაძლო კანდიდატობისათვის.<sup>109</sup>

<sup>108</sup> ჯუმბერ კახაძემ, შენობის მფლობელმა, განაცხადა, რომ ხულოს რაიონის გუბერნატორის ლევან აბაშიძის მითითებით, შენობა უნდა გადასულიყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში, რასაც აბაშიძე უარყოფს.

<sup>109</sup> როგორც ერთერთი ქართველი პოლიტიკური ანალიტიკოსი აღნიშნავს, "საქართველოს მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ ის არის ლიბერალ-დემოკრატიული სახელმწიფო ემსახურება მისი იდენტობის ჩამოყალიბებას, იმ გაგებით, რომ ქვეყანას სურს იყოს ლიბერალურ-დემოკრატიული, რათა დაამტკიცოს, რომ დასავლური ტიპის ქვეყანაა და შეუძლია იყოს თანამედროვე ნაციონალური სახელმწიფო. . ." თუმცა, ამგვარი მოდერნიზებული პროექტები ხშირად იწვევენ უკურეაქციას კონსერვატიული ელემენტების მხრიდან - ამ შემთხვევაში ეს არის ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც 'ლიბერალურ იდეოლოგიას' უყურებს როგორც საფრთხეს ტრადიციული ეროვნული კონცეფციის მიმართ. გია ნოდია და რობერტ ლეგვოლდი; Ghia Nodia, "Georgia: Dimensions of Insecurity," in *Statehood and Security: Georgia After the Rose Revolution*, Bruno Coppieters and Robert Legvold, eds., The MIT Press, Cambridge (2005), p. 73.



ვინაიდან სააკაშვილის მთავრობა შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა რელიგიურ უმცირესობათა უფლებებს მისი მმართველობის თითქმის მთელი დროის განმავლობაში,<sup>110</sup> 2011 წელს განვითარებულმა რიგმა მოვლენებმა აჩვენა, რომ მთავრობა უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდოს რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფებს. პირველი ასეთი ქმედება იყო მაისში 'საქართველოს მუსლიმთა სამმართველო' შექმნა.<sup>111</sup> სამმართველო არ წარმოადგენს სახელმწიფო უწყებას, მიუხედავად იმისა, რომ ის შეიქმნა საქართველოს მთავრობის დახმარებით. უწყებას ხელმძღვანელობენ შეიხი ვაგიფ აკაპილოვი, ეთნიკური აზერბაიჯანელი ქვემო ქართლის რეგიონიდან; მუფთი ჯემალ პაქსადე, რომელიც ამჟამად არის აჭარისა და მთელი საქართველოს მუფთი; და თბილისის ჯუმა მეჩეთის იმაში იასინ ალიევი. 'საქართველოს მუსლიმთა სამმართველო' ოფიციალურად ემსახურება საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა ყველა ჯგუფს, ეთნიკურ აზერბაიჯანელებს ქვემო ქართლში და ეთნიკურ ქისტებს პანკისის ხეობაში. ეს არის საქართველოს მუსლიმთა წარმომადგენლობა მთავრობის დონეზე და ამ უწყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირის სიტყვებით, მისი მიზანია იყოს "ხიდი მუსლიმთა საზოგადოებასა და საქართველოს მთავრობას შორის."<sup>112</sup>

მეორე მნიშვნელოვანი ქმედება სამოქალაქო ინტეგრაციასთან და უმცირესობათა რელიგიასთან დაკავშირებით

<sup>110</sup> იხ. იქვე.

<sup>111</sup> 1980-იანი წლების შემდეგ კავკასიელი მუსლიმები მოექცნენ ბაქოში დაფუძნებული 'კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს' რელიგიური იურისდიქციის ქვეშ. სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ალაშუკურ ფაშაზადე, იყო სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი რელიგიური უწყება, რომლის მიზანს წარმოადგენდა მუსლიმთა საქმეების ხელამხედველობა რეგიონში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სამმართველო განაგრძობდა ფუნქციონირებას და ინარჩუნებდა სასულიერო იურისდიქციას რეგიონის მუსლიმებზე. არ არის გასაკვირი, რომ კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს რეაქცია საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნაზე უარყოფითი იყო.

<sup>112</sup> შაჰინ აბასოვი; Shahin Abbasov, "Azerbaijan and Georgia: Rival Groups Seek to Speak for Georgia's Muslims," EurasiaNet, 7 July 2011, <http://www.eurasianet.org/node/63822>.

იყო სააკაშვილის მთავრობის მიერ რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების რეგისტრაციის შესახებ კანონის მიღება ივლისში. ახალი კანონის მიხედვით, იმ რელიგიურ ჯგუფებს, რომლებსაც "ახლო ისტორიული" კავშირი აქვთ საქართველოსთან, შეუძლიათ დარეგისტრირდნენ როგორც ე.წ. საჯარო სამართლის იურიდიული პირები. აღნიშნული იურიდიული სტატუსი, რომელიც ამჟამად მინიჭებული აქვს სამთავრობო უწყებათა უმრავლესობას, ისევე, როგორც საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, არის იმ სტატუსზე მაღალი, რომელსაც ტრადიციულად ფლობდნენ რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფები. მათი სტატუსი იყო კერძო სამართლის არაკომერციული ერთეული. პირველი ოფიციალურ აღიარებას ანიჭებს რელიგიურ ჯგუფს, მაშინ, როცა ეს უკანასკნელი არის არასამთავრობო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის ტოლფასი.<sup>113</sup> კანონის მიღების შემდეგ, საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, ისევე, როგორც ლათინ კათოლიკეთა კავკასიის ადმინისტრაცია, ასირიულ-ქალდეველ კათოლიკეთა საზოგადოება საქართველოში და იეზიდთა სასულიერო კრება საქართველოში, დარეგისტრირდნენ როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები.<sup>114</sup> ამგვარად, რელიგიურ უმცირესობათა ეს ჯგუფები იურიდიულად გაუთანაბრდნენ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას, თუმცა, რეალურად, 2002 წლის კონკორდატი ეკლესიას გაცილებით მეტ პრივილეგიებს ანიჭებს.<sup>115</sup>

<sup>113</sup> იქვე.

<sup>114</sup> "Four Groups Registered For Now Under New Law of Legal Status of Religious Minorities," Civil Georgia, 28 September 2011, <http://civil.ge/eng/article.php?id=23974>.

<sup>115</sup> მიუხედავად ამისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია კრიტიკულად არის განწყობილი რეგისტრაციის კანონის მიმართ. გარდა იმისა, რომ გადაწყვეტილებების მიღების საქმეში უფლებამოსილებულად გრძნობენ თავს, ბევრი ეკლესიის მსახური მიიჩნევს, რომ ეს კანონი არის ეკლესიისა და ქართველი ერისადმი მიყენებული დარტყმა. მათი აზრით, მთავრობა დიდ დათმობაზე წავიდა 'უცხოური' რელიგიური ჯგუფების მიმართ, იმით, რომ მისცა ამ ჯგუფებს უფლება პრეტენზია გამოეცხადებინათ 'ტერიტორიაზე' (ე.ი. რელიგიურ ნაგებობებზე) საქართველოში და დაეკანონებინათ თავიანთი



რამდენადმე კრიტიკის საგანი გახდა, ის თუ როგორ ხდებოდა ამ ზომების მიღება. რელიგიის ექსპერტის ლევან აბაშიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად ეს არის დადებითი ნაბიჯი, ამ ზომების ამოქმედებამდე საქართველოს მთავრობას არც უფიქრია, ჩაეტარებინა კონსულტაციები შესაბამის რელიგიურ ჯგუფებთან.<sup>116</sup> ევროკავშირის ერთერთმა მაღალჩინოსანმა ასევე აღნიშნა, რომ ამგვარი ცვლილებები უფრო მიანიშნებდა მთავრობის სურვილს, ესიამოვნებინა დასავლეთი და ამავე დროს, შეეფერხებინა დამოუკიდებელი რელიგიური ჯგუფების თვითმოწყობა მთავრობის კონტროლის გარეშე.<sup>117</sup> ასევე, 2011 წელს ქვემო ქართლის რეგიონში ECMI-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მცხოვრები ბევრი აზერბაიჯანელის რეაქცია უარყოფითი იყო საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნასა და რეგისტრაციის კანონის მიღებასთან დაკავშირებით.<sup>118</sup>

მიუხედავად ამისა, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნა და რეგისტრაციის კანონის მიღება დადებითი ფაქტია აჭარელი მუსლიმებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ამ ზომებმა უკვე მოიტანა დადებითი შედეგები რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით. რეგისტრაციის კანონის მიღებამდე მუსლიმი რელიგიური

მფლობელობა მათზე; ამისგან განსხვავებით, ქართულ ეკლესიას სანაცვლოდ არ მიუღია მსგავსი სტატუსი არც თურქეთში და არც სომხეთში, სადაც ქართული ისტორიული მართლმადიდებლური ძეგლები მნიშვნელოვანი რაოდენობით მდებარეობს. ამ კანონზე საუბრისას, ერთ-ერთმა მღვდელმა ხულოში თქვა: “თურქეთსა და სომხეთში ბევრია ქართული ტერიტორიები [ეკლესიები და მონასტრები], მაგრამ მე რომ იქ ჩავიდუ, არ მექნება იგივე უფლებები, რადგანაც ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას არა აქვს იქ ისეთივე სტატუსი [როგორც უცხოურ რელიგიურ ჯგუფებს აქ]. აი ეს გააკეთა რეგისტრაციის კანონმა. რატომ უნდა მივცეთ ჩვენ მათ სტატუსი საქართველოში, როდესაც მათ არ სურთ გააკეთონ იგივე?” ინტერვიუ ხულოში, 18 ოქტომბერი, 2011 წ.

<sup>116</sup> ინტერვიუ რელიგიის ექსპერტ ლევან აბაშიძესთან, თბილისი, 29 ნოემბერი, 2011 წ.

<sup>117</sup> ინტერვიუ თბილისში, 29 ნოემბერი, 2011 წ.

<sup>118</sup> იხ. კონორ პრასადი, ECMI-ს სამუშაო მოხსენება №58 "Georgia's Muslim Community: A Self-Fulfilling Prophecy?".

პირები ფლობდნენ არაოფიციალურ დოკუმენტაციას თავიანთ შესაბამის რელიგიურ ტიტულებთან დაკავშირებით (მაგ.: იმამი, მუფთი). დღეს უკვე მუსლიმ ლიდერებს შეუძლიათ ოფიციალურად შეიტანონ თავიანთი სტატუსი სპეციალურ სარეგისტრაციო სიაში, რითაც მნიშვნელოვნად იზრდება მათი სტატუსის კანონიერება რიგითი მუსლიმების თვალში. ასევე, უფრო იოლი გახდა, თეორიულად მაინც, მეჩეთების მშენებლობა, რასაც ადრე ყოველთვის ართულებდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ ნებართვის გაცემის საჭიროება.<sup>119</sup> ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა, ასევე, ფინანსურ სარგებელსაც. კონკრეტულად, ბათუმის მეჩეთმა, რომელიც ამავე დროს არის რეგიონის ოფიციალური მუფტიატის ცენტრალური ადგილსამყოფელი, დაიწყო ფინანსური დახმარების მიღება სარემონტო სამუშაოებისათვის.<sup>120</sup>

ყველა ის მუსლიმი ლიდერი, რომლებსაც ECMI-მ ინტერვიუ ჩამოართვა, დადებითად და იმედიანად იყო განწყობილი საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნითა და რეგისტრაციის კანონის მიღებით, ვინაიდან ბევრ მუსლიმს დიდი ხანია ჰქონდა ისეთი ორგანიზაციის შექმნის სურვილი, რომელსაც ექნებოდა უფლება, სახელმწიფო დონეზე წარმოედგინა მათი რელიგიური ინტერესები. მიუხედავად ამისა, მუსლიმი ლიდერები აღიარებენ იმასაც, რომ ეს ზომები საბოლოო ჯამში შესაძლოა არაეფექტური გამოდგეს. გარდა ბათუმის მეჩეთისა, ახალი კანონით, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური დახმარების მიღების წინაპირობას, აჭარაში არსებული არცერთი სხვა ისლამური ნაგებობა ოფიციალურად არ იყო დარეგისტრირებული. ხულოს მუფთის ასლან აბაშიძის სიტყვებით, ხულოს მუფტიატის ადმინისტრაციამ უკვე რამდენჯერმე წარუდგინა სახელმწიფოს მოთხოვნა ფინანსურ დახმარებაზე მეჩეთების სარემონტო სამუშაოებისათვის, მაგრამ

<sup>119</sup> ამ ზომების განხორციელების შემდეგ არცერთი ახალი მეჩეთის მშენებლობა არ დაწყებულა. ინტერვიუ პროფესორ რუსლან ბარამიძესთან, ბათუმი, 6 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>120</sup> დეკემბრის დასაწყისში, ECMI-ს სავლელ სამუშაოების დროს, სარემონტო სამუშაოები უკვე დაწყებული იყო.



ამოდ. “კარგი იქნებოდა სახელმწიფოსგან გვექონოდა ფინანსური დახმარება მეჩეთების შესაკეთებლად, მაგრამ არ ვართ დარწმუნებული, რომ სახელმწიფო რეალურად გაითვალისწინებს ჩვენს თხოვნას. ჩვენ უკვე არაერთხელ ვითხოვეთ, მაგრამ აქამდე პასუხი არ მიგვიღია.”<sup>121</sup> მუფთმა ჯემალ პაქსადემ, ასევე, აღიარა, რომ თუ სახელმწიფო მიიღებს ფინანსური დახმარების გამოყოფის გადაწყვეტილებას, მაინც საჭირო გახდება დამატებითი ფინანსები.<sup>122</sup>

ამგვარად, საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნა და რეგისტრაციის ახალი კანონის მიღება, ორივე წარმოადგენს წინგადადგმულ ნაბიჯს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ევროპასთან დაახლოვების გზაზე. თუმცა, აღნიშნული ზომების ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სარგებელს მოუტანს ის აჭარის მუსლიმ მოსახლეობას. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა რელიგიურ პირთა ოფიციალური რეგისტრაცია და ბათუმის მეჩეთის სარემონტო სამუშაოებიც დაწყებულია, უპასუხოდ რჩება ფინანსური დახმარების მოთხოვნა სხვა მუსლიმური ნაგებობების შეკეთების თაობაზე. ყველა მუსლიმ ლიდერს იმედი აქვს, რომ სახელმწიფო დახმარება გაიზრდება, თუმცა, მათი უმრავლესობა ხვდება, რომ გაურკვეველია, მომავალში განხორციელდება თუ არა ეს ზომები.

## VII. დასკვნა

ამ სამუშაო მოხსენების მიზანი იყო, წარმოედგინა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რელიგიასთან დაკავშირებით ამჟამად არსებული სიტუაცია. პოსტ-საბჭოთა პერიოდში, პოლიტიკური მოვლენების განვითარების ფონზე ამ რეგიონში მუსლიმური იდენტობა შესუსტდა, რასაც მოჰყვა ქართული მართლმადიდებლობისა და ქართული ეროვნული იდენტობის სრულიად ექსკლუზიური დაკავშირება. ამის შედეგად, აჭარის მუსლიმი მოსახლეობის ნაწილმა, მაგალითად, ახალგაზრდობამ, სოციალურად მობილურმა და შედარებით განათლებულმა

საშუალო ფენამ, ასევე, ქალაქში მცხოვრებმა მოსახლეობამ შეცვალა საკუთარი რელიგიური იდენტობა. ზოგიერთებმა არჩიეს ქრისტიანობის მიღება, სხვებმა კი საკუთარი მუსლიმური იდენტობის დაკნინება. ამავდროულად, საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ გზა გაიკვლია აჭარაში, განსაკუთრებით დაბლობში და უფრო ნაკლები, თუმცა მზარდი ინტენსივობით, შუახვევისა და ხულოს მაღალმთიან რაიონებში. გრძელდება ეკლესიების მშენებლობა და რეგიონის ბევრი მნიშვნელოვანი სასწავლო დაწესებულება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დაქვემდებარებაშია. გარდა ამისა, საშუალო სკოლებში, საქართველოს ისტორიაში რელიგიის მნიშვნელობის სწავლებისას, აქცენტი თითქმის მთლიანად ქრისტიანობაზე კეთდება, რაც უმთავრესად იმის შედეგია, რომ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გააჩნია სახალხო განათლების დარგში კონსულტაციების გაწვევის პრივილეგია.

თუმცა, რჩება აჭარის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელსაც სურს მუსლიმური ტრადიციების შენარჩუნება. ასეთ მუსლიმებს გააჩნიათ ურყევი ერთგულების გრძნობა ქართველი ერისადმი და ბევრი სხვა ქართველისგან განსხვავებით, ვერ ხედავენ წინააღმდეგობას თავიანთ მუსლიმურ რწმენასა და ქართულ იდენტობას შორის. ძირითადად კი, ალბათ, აჭარელ მუსლიმებს სურთ, რომ ეფექტური სამოქალაქო ინტეგრაცია და სამოქალაქო ნაციონალიზმის განვითარება არ იყოს დამოკიდებული რელიგიურ კუთვნილებაზე. მნიშვნელოვანია, ასევე, ვაღიაროთ, რომ გარდა იმისა, რომ რეგიონში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და იზრდება იმ აჭარელთა რიცხვი, რომლებიც იღებენ ქრისტიანობას, ხდება მუსლიმური ინსტიტუტების აღმოცენება. თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ეს პროცესი არაპროპორციულია რეგიონის მუსლიმ მოსახლეობას შორის თეოლოგიური და გეოგრაფიული განსხვავების გამო, რომ არაფერი ითქვას უცხოეთიდან ზეგავლენაზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ურთიერთობა აჭარაში რელიგიურ ჯგუფებს შორის ნორმალურია, თუმცა, მაინც არსებობს პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მუსლიმთა შეგრძნებას სოციალურ გარიყულობასთან დაკავშირებით.

<sup>121</sup> ინტერვიუ მუფთი ასლან აბაშიძესთან, ხულო, 8 დეკემბერი, 2011 წ.

<sup>122</sup> ინტერვიუ მუფთი ჯემალ პაქსადესთან, ბათუმი, 13 დეკემბერი, 2011 წ.



საქართველოს მთავრობის მიერ ახლახანს გატარებული ზომები რელიგიურ უმცირესობათა ჯგუფების სტატუსთან და წარმომადგენლობის შექნასთან დაკავშირებით, წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს საქართველოს მიერ სამოქალაქო ინტეგრაციის პროექტის განხორციელების საქმეში. საქართველოს მთავრობა, ყოველ შემთხვევაში საჯაროდ, რეგულარულად მართავს რელიგიათაშორის დიალოგს, ასევე, ჩვეულებრივად, სააკაშივლი და მთავრობის სხვა მაღალჩინოსნები (განსაკუთრებით, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე) ულოცავენ მუსლიმებს მთავარ ისლამურ დღესასწაულებს. თუმცა, არსებობს მთელი რიგი ზომებისა, რომელთა მიღებაც შეუძლია საქართველოს მთავრობას აჭარაში რელიგიური სიტუაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

სახალხო განათლების სფეროში საქართველოს მთავრობას შეეძლო ნაწილობრივ მაინც გადაეხედა აჭარის საშუალო სკოლების ისტორიის სასწავლო პროგრამისათვის. რელიგიასთან დაკავშირებით საქართველოს კონტექსტში ამჟამინდელი ისტორიის პროგრამა მხოლოდ მართლმადიდებლობაზე აკეთებს აქცენტს. თავისთავად ის ფაქტი, რომ მართლმადიდებლობა ასრულებს მნიშვნელოვან როლს, არ წარმოადგენს პრობლემას, ვინაიდან ქრისტიანობას დიდი ხნის ისტორია აქვს საქართველოში და უნდა ისწავლებოდეს, როგორც ქვეყნის ისტორიის ნაწილი. მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აჭარის კონტექსტში საკმარისად არ არის განხილული ისლამი. პედაგოგების მიერ ისლამი ხშირად წარმოდგენილია როგორც ოტომანი დამპყრობლების მიერ ძირძველი ქრისტიანი აჭარლებისათვის თავსმოხვეული ისტორიული შეცდომა. ეს ისტორიული კონცეფცია ნამდვილად არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბევრი აჭარელი არ უყურებს ისლამს, როგორც ისტორიულ შეცდომას და შესაბამისად, აქვს სურვილი შეინარჩუნოს საკუთარი მუსლიმური ტრადიციები. აქედან გამომდინარე, სასწავლო პროგრამაში შესაძლებელი იყო აჭარის ისტორიის როგორც ქრისტიანული, ისე ისლამის ელემენტების *ობიექტური* სწავლების გათვალისწინება. ამგვარად, ადრეული ასაკიდანვე შესაძლებელი იქნებოდა სოციალური კუთვნილების განსაზღვრა და

კატეგორიული აზრი, იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ ქრისტიანები არიან მიჩნეულნი ჭეშმარიტ ქართველებად, აღარ შექმნიდა პრობლემას.

ერთი საკითხი, რომლის მოგვარებაც შეეძლო საქართველოს მთავრობას, ეხება მუსლიმი ლიდერების ტრენინგს. ECMI-ს მიერ აჭარაში ინტერვიუების ჩატარებისას, ბევრმა გამოთქვა წუხილი იმ რელიგიური განათლების ხარისხთან დაკავშირებით, რომელსაც აჭარელი მუსლიმები იღებენ თურქეთსა და უცხოეთის სხვა ქვეყნებში. აჭარის მთავრობის ერთერთი წარმომადგენლის სიტყვებით, რელიგიური პირი, რომელიც საზღვარგარეთ სწავლობს, იღებს მეტად ზედაპირულ ცოდნას ისლამის შესახებ და რელიგიურ საკითხებზე თავისუფლად მსჯელობა არ შეუძლია.<sup>123</sup> სხვა შემთხვევებში ის რელიგიური ლიდერულებები, რომლებსაც საზღვარგარეთ ნასწავლი ქართველი მუსლიმი ლიდერები იძენენ და შემოაქვთ საქართველოში ხშირად განსხვავდება ადგილობრივი ტრადიციებისაგან ქართულ კონტექსტში და ამგვარად, იქმნება არაკომფორტულ სიტუაცია, რომელშიც უცხოური თეოლოგიური ელემენტები წინააღმდეგობაში მოდის არსებულ ტრადიციებთან.<sup>124</sup>

შესაბამისად, საქართველოს მთავრობას შეეძლო შეექმნა პირობები, ადგილობრივად ყოფილიყო შესაძლებელი ისლამური განათლების მიღება. სახელდობრ, შეიძლებოდა თბილისში რელიგიური ფაკულტეტის შექმნა ქვეყანაში ისლამის მსახურთა განათლების დონის ამადლების მიზნით. რასაკვირველია, ეს ზომები უნდა გატარებულიყო საქართველოში არსებული სუნიტური და შიიტური ჯგუფებისათვის. ამგვარად, მთავრობა შეიძლება რელიგიის სფეროში ტრენინგის განხორციელების ხელშეწყობას, რითაც დააკმაყოფილებდა საქართველოს მუსლიმთა სულიერ საჭიროებებს და ამავე დროს, თავიდან ააცილებდა მათ რელიგიური დოქტრინისა და კულტურული ტრადიციების დაპირისპირებას. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში ბევრი

<sup>123</sup> ინტერვიუ აჭარის პარლამენტში, ბათუმი, 5 დეკემბერი, 2011 წ.  
<sup>124</sup> ინტერვიუ პროფესორ რუსლან ბარამიძესთან, ბათუმი, 6 დეკემბერი, 2011



მუსლიმი ლიდერი გამოხატავდა რელიგიური განათლების ადგილობრივად მიღებისადმი ინტერესს. ამგვარივე რეკომენდაციები იქნა გაცემული რამდენიმე რელიგიის ექსპერტისა და მთავრობის მაღალჩინოსნის მიერ.

და ბოლოს, დაფინანსების საკითხი მოითხოვს უფრო გულდასმით განხილვას. სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებით ახლახანს წამოყენებული ინიციატივების განხორციელების მიზნით, მთავრობას შეეძლო განეხილა აჭარაში მუსლიმური ინსტიტუტების დაფინანსების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის მეჩეთი რეგისტრაციაში იქნა გატარებული და სარემონტო სამუშაოებისათვის უკვე იღებს სახელმწიფოსაგან დახმარებას, სხვა მუსლიმური ნაგებობები აჭარაში ჯერ კიდევ არ არის დარეგისტრირებული. მთავრობას ალბათ შეეძლო შეემუშავებინა რელიგიური ინსტიტუტების დაფინანსების მეთოდი აჭარის სოფლებში, როგორცაა რაიონის მუფტიატისათვის ერთჯერადი დახმარების გადაცემა, ხოლო ადგილობრივი მუსლიმი ლიდერები მიიღებდნენ გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელი რელიგიური ნაგებობა მიღებდა მატერიალურ დახმარებას.

გასაგებია, რომ დაფინანსების საკითხი ცოტა რთულია. აჭარის მუსლიმი ლიდერები ხვდებიან, რომ სახელმწიფოს მიერ მეჩეთებისა და მადრასაჰების დაფინანსება შეიძლება აუხდენელი ოცნება იყოს. ამავდროულად, მთავრობის ბევრი წარმომადგენელი მხარს არ უჭერს ამგვარი ფინანსური დახმარების, ყოველ შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი დახმარების იდეას. საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ერთერთმა წარმომადგენელმა, რომელიც ზოგადად კრიტიკულად არის განწყობილი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ, გამოხატა თავისი წინააღმდეგობა უფრო მეტი რელიგიური ჯგუფებისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭების საერთო კონცეფციასთან დაკავშირებით, რადგან “სახელმწიფო იძულებული იქნება გადაუხადოს ყველა მათგანს.”<sup>125</sup> საკითხი

<sup>125</sup> ინტერვიუ სახალხო დამცველის ტოლერანტობის ცენტრის უფროსთან ბექა მინდიაშვილთან, თბილისი, 28 ნოემბერი, 2011 წ. შესაბამისად, მინდიაშვილი ფიქრობს, რომ არ უნდა იყოს განსხვავება “სახელმწიფო” და “კერძო” უწყებათა სტატუსებს შორის, რაც ეხება, ასევე, ქართული მართლმადიდებელ ეკლესიას.

მუსლიმური ინსტიტუტებისათვის სახელმწიფო დახმარების მიღების შესახებ, ასევე, შეუსაბამობაშია კონსტიტუციასთან, რადგან მე-9 მუხლის მიხედვით რელიგია დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან. რასაკვირველია, სახელმწიფო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში არღვევდა კონსტიტუციას, როდესაც პირდაპირ ფინანსურ დახმარებას უწევდა ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას. აჭარაში ბევრი მუსლიმი ლიდერი აცნობიერებს ამ რეალობას და ცდილობს მოითხოვოს ისეთივე ურთიერთობა სახელმწიფოსთან, როგორც სარგებლობს ქართული მართლმადიდებლური ეკლესია.

რელიგიასთან დაკავშირებით სიტუაცია აჭარაში რთულია და ახლახანს განვითარებული მოვლენების მიხედვით, ასეთივე დარჩება მომავალი წლების განმავლობაში. ამ სამუშაო მოხსენების მიზანი იყო წარმოედგინა რეგიონში რელიგიასთან დაკავშირებით ამჟამად არსებული სიტუაცია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აჭარლების მიერ ქრისტიანობის მიღების ტენდენციას, სასწავლო დაწესებულებების ზეგავლენას რელიგიურ ცხოვრებაზე ზემო აჭარაში, სახელმწიფოს ახალ პოლიტიკას რელიგიასთან მიმართებაში და მუსლიმურ საზოგადოებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

თუმცა, საჭიროა კვლევის გაგრძელება მთელი რიგი საკითხების უფრო ღრმად შესწავლის მიზნით, მათ შორის, რეგიონში არსებული დამოუკიდებელი ისლამური ორგანიზაციების როლი და განსხვავებული თეოლოგიური შეხედულებები; თურქეთში რელიგიის საკითხების შესწავლის როლი; თითოეულ სოფელში რაოდენობრივი კვლევა იმასთან დაკავშირებით, თუ რა აზრის არიან აჭარლები რეგიონში არსებულ რელიგიურ სიტუაციასთან და რელიგიურ ინსტიტუტებთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ მთავრობა განახორციელებს სამოქალაქო ინტეგრაციის

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, თუ რაოდენ დიდი პრივილეგიებით სარგებლობს ქართული ეკლესია, თითქმის შეუძლებელია მისი ოფიციალური სტატუსის ჩამოქვეითება. ამგვარი პოლიტიკა წარმოქმნის მნიშვნელოვან კონფლიქტს და ამჟამინდელი მთავრობისათვის ეს იქნება პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი.





ზომებს აჭარაში (მაგ.: საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს შექმნა და რეგისტრაციის კანონი) რეგიონის მუსლიმ მოსახლეობასთან კონსულტაციის გზით და არა ცალმხრივად, ასევე, დაარწმუნებს მათ იმაში, რომ ეს პროგრამა მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს აღნიშნულ

მოსახლეობას. უპირველეს ყოვლისა, მთავრობა უნდა დარწმუნდეს, რომ ეთნიკურ ქართველ მუსლიმებს ექცევიან სამართლიანად და პატივისცემით და თვლიან მათ საქართველოს კანონიერ მოქალაქეებად, მიუხედავად მათი რელიგიური კუთვნილებისა

#### ავტორის შესახებ

#### თომას ლაილსი

თომას ლაილსი არის გრისნბოროს, ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტის კურს დამთავრებული და ამჟამად მუშაობს ატლანტიკური საბჭოს დინუ პატრიციუს ევრაზიის ცენტრში ვაშინგტონში. თომას ლაილსი ECMI-ში (საქართველო) მოწვეული ექსპერტის სტატუსით იმყოფებოდა 2011 წლის მეორე ნახევარში.

\*საკონტაქტო ინფორმაცია: [taliles99@gmail.com](mailto:taliles99@gmail.com)

#### შემდგომი ინფორმაციისთვის იხილეთ:

EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES (ECMI)

Schiffbruecke 12 (Kompagnietor) D-24939 Flensburg

☎ +49-(0)461-14 14 9-0 \* fax +49-(0)461-14 14 9-19

\* E-Mail: [info@ecmi.de](mailto:info@ecmi.de) \* Internet: <http://www.ecmi.de>